ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

30 ნოემბერი, 1938 წ. — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო — ფასი 30 კაპ. № 29 (84)



თუ კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთათვის სსრ კავშირის კონსტიტუციას მოქმედებათა პროგრამის მნიშვნელობა ექნება, სსრ კავშირის ხალხთათვის მას აქვს მათი ბრძოლის შეჯამების, კაცობრიობის განთავისუფლების ფრონტზე მათ გამარჯვებათა შეჯამების მნიშვნელობა. ბრძოლისა და გაჭირვების განვლილი გზის შედეგად სასიამოვნო და სასიხარულოა გვქონდეს ჩვენი კონსტიტუცია, რომელიც ჩვენს გამარჯვებათა ნაყოფზე ლაპარაკობს. სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რისთვის იბრძოდნენ ჩვენი ადამიანები და როგორ მიაღწიეს მათ მსოფლიო - ისტორიულ გამარჯვებას. სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რომ სისხლს, რომელიც უხვად დაღვარეს ჩვენმა ადამიანებმა, ამაოდ არ ჩაუვლია, რომ მან თავისი შედეგები მოგვცა... ეს სულიერად აიარაღებს ჩვენს მუშათა კლასს, ჩვენს გლეხობას, ჩვენს მშრომელ ინტელიგენციას. ეს წინ გვამოძრავებს და გვიმაღლებს კანონიერი სიამაყის გრძნობას. ეს გაგვიმტკიცებს რწმენას საკუთარი ძალებისადმი და გვრაზმავს ახალი ბრძოლისათვის კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

ი. ბ. სტალინის მოხსენებიდან საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მერვე ყრილობაზე 1936 წ. 25 ნოემბერს — „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“.

სტალინური კონსტიტუციის დროშით

ორი წლის წინათ—1936 წლის 5 დეკემბერს საბჭოების სრულიად საკავშირო მერვე საგანგებო ყრილობამ დაამტკიცა ჩვენი დიადი სამშობლოს—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია. ეს იყო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უდიდესი ისტორიული თარიღი.

საბჭოების სრულიად საკავშირო მერვე საგანგებო ყრილობამ დაადგინა: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების აღსანიშნავად გამოცხადდეს მიღების დღე—ხუთი დეკემბერი საყოველთაო სახალხო დღესასწაულად.

დიდის აღფრთოვანებით იბრძვის და მუშაობს საბჭოთა ხალხი სტალინური კონსტიტუციის დროშის ქვეშ და ამ ორი წლის ნაყოფიერმა შრომამ ახალი გიგანტური გამარჯვებანი ჩასწერა სოციალიზმის მატიანეში.

გასულ წელს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე — სტალინური საარჩევნო კანონის საფუძველზე არჩეულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები. ამ არჩევნებმა კაცობრიობას დაანახვა მთელი საბჭოთა ხალხის ურყევი პოლიტიკური და მორალური მთლიანობა. თავის სოციალისტურ პარლამენტში საბჭოთა ხალხმა წარგზავნა ქვეყნის საუკეთესო შვილები, ლენინ-სტალინის საქმისათვის თავდადებული ადამიანები რომელთაც შესწევთ უნარი და ნიჭი მართონ მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო.

მოქმედებდა რა სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, ჩვენმა დიდმა სამშობლომ, მასში შემავალმა ყველა რესპუბლიკამ გადადგა უდიდესი ნაბიჯი სოციალისტური მეურნეობის, სოციალისტური კულტურის შემდგომი ყოველმხრივი აყვავებისაკენ, შემოქმედებითი ძალების შემდგომი გაშლისაკენ, საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცებისაკენ.

სტალინურმა კონსტიტუციამ აღბეჭდა საბჭოთა ქვეყნის ყოველმხრივი ძლევამოსილება, მან გამოხატა მშრომელი მასების ურყევი მტკიცე კავშირი საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებთან, მშრომელი მილიონების ურყევი ნდობა და სიყვარული ბოლშევიკური პარტიისადმი, ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი. ამასთან ერთად სტალინური კონსტიტუცია გახდა საბჭოთა ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და განმტკიცების უძლიერესი ბერკეტი, სახელმწიფოს მმართველობისა და ხელმძღვანელობის საქმეში მილიონ მშრომელთა ჩაბმის უდიდესი სტიმული, მასებიდან სოციალისტური მშენებლობის ნიჭიერ ორგანიზატორთა ახალახალი კადრების წინწამოწევის და დაწინაურების ფაქტორი. სტალინურმა კონსტიტუციამ კიდევ უფრო დაუახლოვა და მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს საბჭოთა კავშირის მცხოვრები მოძმე ხალხები. სტალინურმა კონსტიტუციამ დარაზმა მშრომელი მასები საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად, მისცა მას ძალა გაეწმინდა ჩვენი სახელმწიფო ულირსი, გამოუდეგარი, გაბიუროკრატებული ადამიანებისაგან, რომლებმაც დაივიწყეს თავიანთი მოვალეობა ხალხის წინაშე, ვერ გაამართლეს მისი ნდობა, ვერ გამოიჩინეს უნარი სათავეში ჩასდგომოდნენ ხალხის ინიციატივას და აქტივობას სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე.

ასეთი დიდი უფლებებით, ასეთი ძალით და ბრწყინვალე პერსპექტივებით აღჭურვა ხალხი დიდმა სტალინურმა კონსტიტუციამ.

ჩვენი ხალხისათვის ამ დიად მონაპოვართა წართმევა განიზრახეს სამშობლოს მოღალატეებმა — გერმანიის სისხლიანი ფაშიზმის აგენტებმა და ჯაშუშებმა—ტროცკისტ-ბუხარინელმა გარეწრებმა, მაგრამ მათი ვერაგული, მზაკრული ზრახვები ძირშივე იქნა ჩაკლული.

საბჭოთა ხალხმა გაანადგურა ჯაშუშთა საზიზღარი ბუდეები. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა დაზღვეულია ჯაშუშებისა და მტრული ელემენტების ფარული თუ აშკარა მავნებლური მოღალატური მოქმედებისაგან. ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ სოციალისტური სამშობლო სცხოვრობს კაპიტალისტურ გარემოცვაში, რომ ფაშისტი კანიბალები ირაზმებიან და ემზადებიან ომისათვის მშრომელთა სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სოციალიზმის ბრწყინვალე გამარჯვებანი აბოროტებენ, ცოფს ჰგვრიან ფაშისტურ ქვეყნებს, რომლებიც კვლავ განაგრძობენ ჯაშუშების გზავნას ჩვენს სამშობლოში და ეძებენ თავიანთ აგენტებს ჩვენი ხალხის შინაურ მტრებში. აი რატომ უნდა იდგეს მუდამ დღე მშრომელ მასების ყურადღების ცენტრში ბოლშევიკური სიფხიზლის უფრო და უფრო გაძლიერება.

სტალინური კონსტიტუცია შეიქნა ახალი ხანის დასაწყისი მთელი კაცობრიობის გამანთავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში, რადგან იგი არის ნამდვილად დემოკრატიული, ნამდვილად საყოველთაო სახალხო კონსტიტუცია მსოფლიოში. იგი თავისუფლების ნამდვილი ქარტიაა, ნამდვილი გზის მაჩვენებელი ვარსკვლავია მთელი ჩაგრული და ტანჯული კაცობრიობისათვის. იგი ჩირაღდანია, რომელიც მთელი მსოფლიოს მშრომელთა გულში ნერგავს მხნეობას, ბრძოლის ნებისყოფას, ურყევ რწმენას რევოლუციური საქმის გამარჯვებაში.

გაუმარჯოს თავისუფალ და ბედნიერ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს თავისუფლების დიადი ქარტიის შემომქმედს — ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს მშობლიურ **სტალინს!**

მოსალოცი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი—
ამხანაგ სტალინს

ქ. თბილისის პარტიული აქტივის საერთო საქალაქო კრება, მოისმინა რა მოხსენება საქართველოს პარტორგანიზაციების ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობენ საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებიდან „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“, — მხურვალე სალამს გიძღვნის თქვენ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს.

ერთსულოვანი, მხურვალე მოწონების გრძნობით, უდიდესი ინტერესითა და ყურადღებით შეხვდნენ თბილისისა და საქართველოს ბოლშევიკები, მუშები, კოლმეურნეები და საბჭოთა ინტელიგენცია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ ისტორიულ დადგენილებას, რომელიც მთელი ბოლშევიკური პროპაგანდის ორგანიზაციის სტალინურ პროგრამას წარმოადგენს.

ლენინთან ხელიხელჩაკიდებული, თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, იდეოლოგიურ საფუძვლებს უყრიდით ბოლშევიკთა დიად პარტიას, დაუღალავად ასწავლიდით და ასწავლით პარტიულ კადრებს დააფასონ რევოლუციური თეორიის ძალა, ბოლშევიკური შეურიგებლობით მთელი ძალით დაიცვან მისი სიწმინდე.

იმპერიალიზმის, იმპერიალისტური ომებისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის ახალ პირობებში, სსრ კავშირში უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ისტორიული ბრძოლის პირობებში, თქვენ შემდგომ განავითარეთ მარქს-ენგელს-ლენინის დიადი მოძღვრება, აიყვანეთ იგი ახალ საფეხურზე.

საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით ამხანაგო **სტალინ**, პარტიამ სასტიკად დაამარცხა მარქსიზმ - ლენინიზმის ყველა და ყოველგვარი მტრები, მშრომელთა მტრები.

თქვენი ბრძნული მითითებებით შეიარაღებულმა პარტიამ ამხილა და გაანადგურა ფაშისტურ დაზვერვათა დაქირავებული აგენტები — კონტრრევოლუციონერი ტროცკისტები, ბუხარინელები, მათი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური აგენტურა, რომლებიც მთელი რიგი წლების მანძილზე ლენინ-სტალინის პარტიის წინააღმდეგ წარმოებულ თავიანთ ბრძოლაში ცდილობდნენ დაემახინჯებინათ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის რევოლუციური მოძღვრება, აეცდინათ პარტია ლენინურ-სტალინური გზიდან, წაერთმიათ საბჭოთა ხალხისათვის მისი დიდი მონაპოვარნი, მოექციათ საბჭოების ქვეყანა საერთაშორისო იმპერიალიზმის კაბალაში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ ახალი ძალით ამაღლებს ჩვენს პოლიტიკურ სიფხიზლეს მტრის ნაბოლარების ოინებისადმი, გვეხმარება ბოლშევიზმის დაუფლებაში, ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიის ცოდნით, საზოგადოებრივი განვითარების კანონებისა და რევოლუციის მამოძრავებელი ძალების ცოდნით შეიარაღებაში.

ქ. თბილისის პარტიული აქტივის საერთო-საქალაქო კრება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ აღმოფხვრას პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის დაყენებაში არსებული ნაკლოვანებანი, რომლებზედაც მიგვითითებს საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, დავნერგოთ კომუნისტთა მიერ ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის მეთოდი, შევაერთოთ პროპაგანდის ბეჭდვითი ფორმა, როგორც მთავარი, სიტყვიერთან, ვუხელმძღვანელოთ პროპაგანდას არსებითად, ყოველნაირად ავამაღლოთ მისი ხარისხი, ვიბრძოლოთ ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციისადმი უგულებელმყოფელი დამოკიდებულების წინააღმდეგ, შევაიარაღოთ იგი საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის— ბოლშევიზმის ამ მძლავრი სტალინური იდეური იარაღის ცოდნით.

შეუპოვრად და დაჟინებით იმუშავებენ რა თავის თავზე, დაეუფლებიან რა ლენინ-სტალინის დიად რევოლუციურ თეორიას, საქართველოს ბოლშევიკები ამ თეორიის დროშით, ლენინ-სტალინის პარტიის დროშით, კიდევ უფრო წარმატებით წაიყვანენ მშრომელებს კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

გაუმარჯოს **ლენინ - სტალინის** პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ, დიდ **სტალინს!**

თბილისის საქალაქო პარტიული აქტივის კრება

26 და 27 ნოემბერს შესდგა თბილისის საქალაქო პარტიული აქტივის კრება. აქტივის კრებას 1.400 კაცი დაესწრო.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების გარშემო მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხანაგი **კ. ნ. ჩარკვიანი**, რომელსაც აქტივი გულთბილად შეხვდა.

ამხანაგ **კ. ნ. ჩარკვიანის** მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ა. გ. ხუციშვილი (ლენინის რაიკომი), დ. კაზაჩენკო (თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი), ს. ლარცულიანი (პროპაგანდისტთა სკოლა), ბ. ა. ლიუდვიგოვი (მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალი), ვ. ვ. სიხარულიძე („26“-ის სახელობის რაიკომი), მ. ო. იავრიანი (კიროვის რაიკომი), წამალაიძე (**სტალინის** სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხანა), ა. ს. გიორგაძე (ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკა), ვ. ი. ტოგონიძე (ორჯონიკიძის რაიკომი), ბირკაია (სადგურ ნავთლუღის საკვანძო პარტკომი), ვ. მ. გოგისვანიძე (სტალინის რაიკომი), ვ. ვ. ხაჭაპურიძე (სახელმწიფო უნივერსიტეტი), გულანიანი (თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი), ი. კ. თავაძე (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.), დ. დ. ოქრუაშვილი (ტრამვაი), დ. მშვენიერაძე (ბერიას სახელობის რკინიგზის ტექნიკუმი), ი. ი. იუზეფოვიჩი (კამოს სახელობის ქარხანა), ვ. გ. გრიგორიანი („ზარია ვოსტოკა“), დ. ყიფშიძე (სახელმწიფო უნივერსიტეტი), გ. ხომერიკი (თბილისის დეპო), ი. ბახუტაშვილი (ქალაქის პირველი საავადმყოფო), ა. ა. გი- [illegible] გაბუნია (კიროვის რაიკომი).

ყველა გამოსულნი ერთსულოვნად იწონებდნენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, ამჟღავნებდნენ ნაკლოვანებებს პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში და შემოჰქონდათ პრაქტიკული წინადადებანი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების განხორციელების შესახებ.

ამხანაგ **კ. ნ. ჩარკვიანის** საბოლოო სიტყვის შემდეგ, კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“.

კრებამ უდიდესი აღფრთოვანებით და მქუხარე ტაშით მიიღო მისალმება მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინისადმი.**

სიმღერა გმირთა-გმირზე

(ფილმიდან—„უხვი მოსავალი“)

ალიო მაშაშვილი

არსებობს ქვეყანა ვრცელი და ძლიერი,
განთქმული სიმდიდრით და სიმშვენიერით.

ამ ქვეყნის გუშაგად ეს გმირთა-გმირია,
მტერი და დუშმანი მას გაუგმირია.

ის მუდამ იბრძოდა წელში განუხრელი,
დასცა—და დალეწა მონობის უღელი.

მან შრომას დიდება დაადგა გვირგვინად,
მთები და მინდვრები მან ააბიბინა.

მან შექმნა კანონი სიტყვა—ოქროვანი,
მით ყველა გახადა თანასწორ ხმოვანი.

მას ყველგან ხედავენ: სად იყო, სად არა,
მას ყველა შეჰხარის დიდი და პატარა.

მზე ხელზედ უპყრია ძირს ჩამოტანილი,
მას ჰქვია სინათლე, მას ჰქვია სტალინი.

„როცა იხსენებ სერგეი მირონის-ძე კიროვის ბრძოლისა და მუშაობის წლებს, კვლავ თვალწინ გიდგება მისი დაუვიწყარი სახე მტკიცე, უდრეკი ბოლშევიკ-ლენინელის, შესანიშნავი ორგანიზატორის, მგზნებარე სახალხო ტრიბუნის, რომლის პიროვნებაში შეხამებული იყო გამჭრიახი პოლიტიკური ხელმძღვანელისა და ამავე დროს უდიდესი, ნამდვილი ბოლშევიკური სამეურნეო მუშაკის ნიჭი.

კიროვი სიცოცხლით სავსე იყო და მას უყვარდა სიცოცხლე, რომელიც წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის.

ლ. ბერია

(„პრავდა“, 1935 წლის დეკემბერი. სტატიიდან „მგზნებარე მებრძოლი“).

რევოლუციის რაინდი

1934 წლის 1 დეკემბერს სამგზის საზიზღარი კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ბუხარინული ცენტრის დავალებით შარაგზის ყაჩაღებმა — ჩვენი ხალხის ხელმძღვანელთა რიგებს გამოჰგლიჯეს უსაყვარლესი ადამიანი, ჩვენი დიდი სტალინური ეპოქის სახალხო ტრიბუნი, მასების შესანიშნავი ორგანიზატორი, **ლენინ-სტალინის** პარტიის სახელოვანი შვილი, ნაცადი სტალინელი **სერგეი მირონის-ძე კიროვი**. ჩვენი ხალხის, ბოლშევიკური პარტიის გმირული ბრძოლების დიად მატიანეში სამარადჟამოდ აღბეჭდილია ამ დიდი ადამიანის უკვდავი სახელი. „როცა იხსენებ სერგეი მირონის-ძე კიროვის ბრძოლისა და მუშაობის წლებს კვლავ თვალწინ გიდგება მისი დაუვიწყარი სახე, მტკიცე, უდრეკი, ბოლშევიკ-ლენინელის, შესანიშნავი ორგანიზატორის, მგზნებარე სახალხო ტრიბუნის, რომლის პიროვნებაში შეხამებული იყო გამჭრიახი პოლიტიკური ხელმძღვანელისა და ამავე დროს უდიდესი, ნამდვილი ბოლშევიკური სამეურნეო მუშაკის ნიჭი.

კიროვი სიცოცხლით სავსე იყო და მას უყვარდა სიცოცხლე, რომელიც წარმოდგენილი ქონდა, როგორც ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის“ (ლავრენტი ბერია).

რუსეთის მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის რევოლუციურ მოძრაობასთან ერთად იწრთობოდა სერგეი მირონის-ძე კიროვის კრისტალივით წმინდა ადამიანის, მებრძოლი ბოლშევიკის მარად დაუვიწყარი სახე. იგი ბუნებით დაბადებული იყო რევოლუციისათვის; და მართლაც, კიროვმა თავისი ვაჟკაცური სიცოცხლე მრავალმილიონიან ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლაში გაატარა. იგი ფოლადით ნაჭედი ადამიანი იყო. ჯერ კიდევ ადრე, იატაკქვეშეთის გმირულ ბრძოლებში ცარიზმისა და დროებითი მთავრობის წინააღმდეგ — რაზმავდა იგი მებრძოლთა რიგებს.

სამოქალაქო ომის მძაფრ წლებში სერგეი კიროვს, — რევოლუციის ამ შესანიშნავ რაინდს — მიჰყავდა მებრძოლი მასები თეთრგვარდიელი ბანდების დასათრგუნავად. სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე აღდგენითი პერიოდის დაძაბულ წლებში, სტალინური ხუთწლედების, სოციალიზმის ბრწყინვალე გამარჯვების ეპოქაში—ლენინ-სტალინის პარტიის სახელოვანი შვილი, გამობრძმედილი სტალინელი სერგეი მირონის-ძე კიროვი იდგა ყველგან მოწინავე პოზიციებზე.

კიროვის ბრწყინვალე სახელთან არის დაკავშირებული გმირული ბრძოლები მრავალგზის დატანჯული და მრავალერიან კავკასიელ ხალხების განთავისუფლებისათვის, სახელოვანი მე-11 არმიის განმტკიცება, ასტრახანის და ვოლგის მიდამოების დაცვა თეთრგვარდიელ ბანდების იერიშებისაგან. კიროვის სახელთან არის დაკავშირებული ამიერ-კავკასიის ფედერაციის ჩამოყალიბება; იგი ხალხთა სტალინური მეგობრობის ჭეშმარიტი ორგანიზატორი იყო.

ჩვენმა სახელოვანმა ბოლშევიკურმა პარტიამ, დიდმა სტალინმა ამხანაგ კიროვს მიანდო ლენინგრადის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ეს დიდი მინდობილობა კიროვმა შეასრულა ისე, როგორც შეჰფეროდა სტალინის ერთგულ მოწაფეს. კონტრრევოლუციურ ტროცკიზმთან გადამწყვეტ ბრძოლაში ამხანაგი კიროვი ამჭიდროებდა ლენინის ქალაქის სახელოვან ბოლშევიკურ ორგანიზაციას, რაზმავდა პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს ლენინ-სტალინის უძლეველ და უწმინდესი დროშის ქვეშ.

სერგეი მირონის ძე კიროვი შეუდრეკელი მებრძოლი იყო ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხთა კეთილდღეობისათვის. იგი უდიდესი მოამაგე, მეგობარი და მასწავლებელი იყო საბჭოთა ახალგაზრდობისა. მისი თვითეული სიტყვა მიმართული ამ ახალგაზრდობისადმი — წარმოადგენდა მოწოდების ზარს. სერგეი მირონის-ძე კიროვის მშობლიურ მზრუნველობის ქვეშ აღიზარდა მთელი თაობა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკებისა.

რევოლუციის რაინდის გული სძგერდა ამ დიდი ადამიანის მკერდ ქვეშ. ეს გული სავსე იყო ჩვენი თავისუფალი ხალხის უსაზღვრო სიყვარულით; მას სწამდა ჩვენი ხალხის ძალა და უძლეველობა. ამიტომაც უყვარდა სერგეი მირონის-ძე კიროვი ხალხს, იგი მშრომელთა მრავალმილიონიან მასების სიყვარულით იყო გარემოცული. ამ სიყვარულის ნიშნად მას „სერგეი მირონიჩი“ უწოდა ჩვენმა ხალხმა.

ტროცკისტულ - ზინოვიევურ-ბუხარინულ ავაზაკების ხელით დაიღუპა დიდი სტალინის ერთგული მოწაფე, ჩვენი ხალხის ერთერთი სახელოვანი ხელმძღვანელი, რევოლუციის კეთილშობილი რაინდი. სამგზის საზიზღარმა შარაგზის ყაჩაღებმა, რომელთა ცხოვრება დაღდასმულია ვერაგობითა და გამცემლობით, მკვლელობითა და შპიონაჟით, — გერმანელ ფაშისტ ყაჩაღებთან კავშირში, ქურდულად მოაწყვეს სერგეი მირონის-ძე კიროვის მკვლელობა.

ავაზაკურ გასროლას ჩვენმა დიდმა ხალხმა უპასუხა ბოლშევიკური შეტევითი სიფხიზლის კიდევ უფრო ამაღლებით, კიდევ უფრო მონოლიტურ შემჭიდროებით სახელოვანი ბოლშევიკური პარტიისა და პროგრესიული კაცობრიობის საყვარელი ბელადის — დიდი **სტალინის** გარშემო.

კიროვის სახელი და ხსოვნა მოგვიწოდებს ჩვენ — ვიყოთ კიდევ უფრო ფხიზელნი და შეუბრალებელნი ხალხის მტრების მიმართ.

საქართველოს ინტელიგენცია გამოსთქვამს თავის აღშფოთებას და გულისწყრომას ებრაელთა რბევის გამო ფაშისტურ გერმანიაში

28 ნოემბერს რუსთაველის სახელობის თეატრში შესდგა ინტელიგენციის კრება აღშფოთებისა და გულისწყრომის გამოსათქმელად იმ ველურობის გამო, რომელსაც გერმანიის სისხლიანი ფაშიზმი სჩადის ებრაელი მოსახლეობის მიმართ. მიტინგი, რომელსაც დაესწრო ათასზე მეტი ინტელიგენტი — მწერლები, არტისტები, მხატვრები, მოქანდაკეები, არქიტექტორები, გახსნა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, დამსახურებულმა დრამატურგმა შალვა დადიანმა.

შალვა დადიანის სიტყვა

დიდებულ ხანას განიცდის ჩვენი ქვეყანა, დიადი სოციალისტური სახელმწიფო, — ამ სიტყვებით გახსნა მიტინგი ამხ. შალვა დადიანმა, — თითეული ჩვენი დღე აღსავსეა გმირული საქმეებით, უდიდესი შემოქმედებითი მუშაობით. სტალინური კონსტიტუციის ბრწყინვალე მზის ქვეშ უფრო და უფრო ნათელი ფერადებით ჰყვავის სოციალიზმის ქვეყნის ხალხთა ბედნიერი ცხოვრება, უფრო მტკიცე ხდება მათი დიადი მეგობრობა.

ამ დროს ევროპის ცენტრში, ოდესღაც კულტურულ გერმანიაში, რომელიც ფაშისტ ბარბაროსთა უღელქვეშ მოექცა, ხდება ისეთი სიმხეცენი, რომელთა წინაშე მკრთალად მოჩანს საშუალო საუკუნეების ყველა საშინელება. ფაშისტი-ჯალათები წინასწარ მოფიქრებული გეგმით აწყობენ ებრაელთა სისხლიან დარბევებს, სცემენ და აწამებენ, საკონცენტრაციო ბანაკებში ათავსებენ, ასობით და ათასობით ხოცავენ უმწეო, სრულიად უდანაშაულო ადამიანებს. ამ კაციჭამიებმა გადააჭარბეს რუსეთის ყოფილი იმპერიის მეფის ოხრანკის აგენტებისა და პოლიციელების ყველა მხეცობას.

მთელი მოწინავე კაცობრიობა აღშფოთებულია და აღსავსე გულისწყრომით გერმანელ ფაშისტთა მხეცობის გამო. აღშფოთებამ მოიცვა მთელი საბჭოთა ხალხიც.

საქართველოს მწერლებს, მხატვრებს, არტისტებს, მთელს საბჭოთა ინტელიგენციას არ შეუძლიათ გულგრილად უცქირონ იმ საშინელებას და მხეცობას, რაც ამჟამად ფაშისტურ გერმანიაში ხდება. ჩვენს ხმას ვუერთებთ ფაშისტ დამრბევთა წინააღმდეგ აღშფოთებული მთელი საბჭოთა ხალხის, მთელი პროგრესიული კაცობრიობის ხმას.

დიადი და ძლიერია საბჭოთა ქვეყანა, მისი ხალხები ძმური, ურღვევი მეგობრობით შეკავშირებული არიან ერთ მონოლიტურ ოჯახად. ეს დიადი მეგობრობა, სოციალიზმის ყველა დიადი გამარჯვებანი ჩვენი სამშობლოს ხალხების მიერ მოპოებულია საყვარელი ბელადის, მშრომელი კაცობრიობის მამისა და მეგობრის — მშობლიური დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით (ტაში).

ლენინ-სტალინის პარტიის, სოციალისტური სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული თბილისის საბჭოთა ინტელიგენცია იმაღლებს დღეს თავისი აღშფოთებისა და პროტესტის ხმას ფაშისტების კანიბალურ მხეცობათა წინააღმდეგ, და ეს ხმა მთელი საბჭოთა ხალხის, მთელი პროგრესიული კაცობრიობის ხმასთან შეერთებული, მძლავრად და მრისხანედ გაისმის! (ტაში).

ამის შემდეგ თავმჯდომარე სიტყვას აძლევს მწერლობის და ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებსა და წარმომადგენლებს.

კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვა

საშინელია სისხლიანი ბოროტმოქმედებანი გერმანიის ფაშისტებისა, რომლებმაც მოაწყვეს გერმანიის ებრაელი მოსახლეობის დარბევა.

ცხადია, რომ სისხლისმღვრელი ვაკხანალიისათვის, რომელსაც ფაშისტი კანიბალები დღისით-მზისით ატარებენ ცენტრალურ ევროპაში, არავინ დასდებს ბრალს მშრომელ გერმანელ ხალხს, რომელმაც კაცობრიობას მისცა კულტურის ბრწყინვალე კორიფეები. ეს ბოროტმოქმედება ორგანიზებულია ფაშისტ ბნელეთის მოციქულთა მიერ.

ფაშისტ კანიბალთა უმაგალითო ბარბაროსობის წინააღმდეგ არაერთხელ აღუმაღლებიათ ხმა გერმანიის მწერლებს, მეცნიერებს, კომუნისტებს; გერმანიის მშრომელი ხალხი, მუშათა კლასი ერთი წუთითაც არ შეასუსტებს ბრძოლას ბნელეთის მოციქულთა, გამხეცებულ ფაშისტთა წინააღმდეგ.

ებრაელმა ხალხმა განვლო დიდი ბრძოლისა და კულტურის გზა, შექმნა შესანიშნავი ლიტერატურა და ხელოვნება. მან ბევრი რამე შესძინა კაცობრიობის კულტურის საგანძურს.

გერმანიის მოწინავე ადამიანები დაუღალავად იბრძოდნენ კაცთმოძულეობის რასიული თეორიის წინააღმდეგ.

ჩვენში ღრმა აღშფოთებას იწვევს ებრაელთა სისხლიანი დარბევა ევროპის ცენტრში. ჩვენში აღშფოთებას იწვევს ბარბაროსული პოგრომები, მშვიდობიანი მოსახლეობის აკლება, წიგნების დაწვა ბერლინის ქუჩებში.

ფაშისტები ანადგურებენ არა მარტო უდანაშაულო და რიგით მოქალაქეებს, ისინი სდევნიან, აძევებენ ისეთ ადამიანებს, როგორიცაა ა. ეინშტეინი, რომელმაც ნიუტონის მსგავსად მოახდინა ძვრა ახალი კაცობრიობის აზროვნებაში.

ქართველი ხალხი მუდამ გამოდიოდა ხალხთა ძმობის იდეებისა და პრინციპების მატარებლად. თვით შავბნელ საშუალო საუკუნეებშიც რუსთაველის ქვეყანაში არ იყო რაიმე ნიშნები ეროვნებათა ჩაგვრისა და დევნისა.

ჩვენი ქვეყანა, რომლისადმიც მიპყრობილია მთელი მშრომელი კაცობრიობის ალტაცებული თვალები, აღმართულია როგორც კულტურის ბრწყინვალე შუქურა, იგი წარმოადგენს მძლავრ მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელიც შექმნილია დიდი **სტალინის** გენიით. ჩვენი ქვეყანა მძლავრი ქვეყანაა, რომლის წმინდათა - წმინდა საზღვრებს იცავენ სსრ კავშირის ყველა ხალხები.

გერმანიის ფაშისტები ვერ აიცილებენ პასუხისმგებლობას თავისი სისხლიანი დანაშაულისათვის, რომელიც მთელი მშრომელი პროგრესიული კაცობრიობის ღრმა აღშფოთებასა და გულისწყრომას იწვევს.

სსრ კავშირი რევოლუციის შუქურაა, რომელიც ბრწყინვალედ უნათებს მთელი მსოფლიოს მშრომელთ.

გაუმარჯოს ჩვენს დიად საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს რევოლუციის დიად მესაჭეს, ჩვენს მშობლიურ, საყვარელ ბელადს, დიდ **სტალინს**! (ტაში).

გ. ქილაძის სიტყვა

რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო სამარცხვინო და საზიზღარი, რაც ახლა ხდება ფაშისტურ გერმანიაში, სადაც უმწეო ებრაელ მოსახლეობას არბევენ და აწამებენ, სადაც ადამიანებს ქუჩებში ხოცავენ. ვერავითარი მონაჩმახით ვერ დაჰფარავენ ფაშისტები თავის სისხლიან საქმეებს.

ჩვენ, საქართველოს საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენელნი ჩვენს ხმას ვუერთებთ პროგრესიული კაცობრიობის აღშფოთებას ფაშისტურ საშინელებათა გამო. ზიზღი ფაშისტ კაციჭამიებს!

ი. ნიკოლაძის სიტყვა

ფაშისტური ჩექმის ქუსლის ქვეშ იტანჯება გერმანელი ხალხი, ბარბაროსებისა და კანიბალების საშინელება ტრიალებს დღეს იმ ქვეყანაში, რომელმაც მისცა კაცობრიობას მარქსი, ენგელსი, შილერი, გოეთე, ვაგნერი. ფაშისტმა დამრბევლებმა შიმშილისათვის, სილატაკისათვის, საკონცენტრაციო ბანაკებში წამებისათვის განწირეს ებრაელი ხალხი, მაგრამ პოგრომულმა პოლიტიკამ დაღუპვას ვერ გადაარჩინა მონარქისტული რუსეთის მთავრობა. ეს პოლიტიკა ვერც ფაშიზმს იხსნის დაღუპვისაგან. ეს სისხლიანი პოგრომები მოწმობს მხოლოდ ფაშიზმის აღსასრულის მოახლოვებას.

ლადო გუდიაშვილის სიტყვა

მხეცობის უკიდურეს ზომამდე მისული ფაშისტი კანიბალები დაუნდობლად ანადგურებენ ხელოვნების ნაწარმოებებს, სწვავენ უძვირფასეს მხატვრულ ტილოებს, მსოფლიო კულტურის ძეგლებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი „არაარიელთა“ ხელით არიან შექმნილნი.

დიად საბჭოთა ქვეყანაში ხელოვნების თვითეული მუშაკი, თვითეული მშრომელი ადამიანი გარშემორტყმულია სტალინური მზრუნველობით და მის წინ გაშლილია ვრცელი ასპარეზი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის.

ებრაელთა პოგრომები კაცთმოძულეობის, ფაშისტური პოლიტიკის განუყრელი, შემადგენელი ნაწილია. გერმანელი ფაშიზმი ამაოდ ცდილობს ამით თავი დააღწიოს დაღუპვას.

ზიზღი კაციჭამია ფაშისტებს!

გაუმარჯოს ჩვენი სამშობლოს ხალხთა დიად ძმობას!

გაუმარჯოს ჩვენს დროშას, სიამაყესა და იმედს დიდ **სტალინს**! (ტაში).

სიმონ ჩიქოვანის სიტყვა

მხოლოდ ჩვენში, საბჭოთა კავშირშია შესაძლებელი ის მზრუნველობა და ყურადღება, რომლითაც გარემოცულია ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია.

ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დროშით საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა ხალხებმა მიაღწიეს თავისი სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგის აყვავებას. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს აღორძინდნენ ჩვენი ხალხები, გაიფურჩქნა მათი კულტურა. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, ბრძენი ბელადისა და მასწავლებელი დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით ჩვენ ვაშენებთ ახალ ბედნიერ ცხოვრებას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა მოძმე ხალხებთან განუყრელი, სტალინური მეგობრობით შეკავშირებული.

დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხებთან მჭიდრო მეგობრობით, ჩვენ ვაშენებთ ახალ სასიხარულო ცხოვრებას მაშინ, როდესაც პირსისხლიანი ფაშიზმი ცდილობს სისხლში ჩაახრჩოს ესპანეთისა და ჩინეთის ხალხები, ცეცხლით და მახვილით სპობს კულტურის უდიდეს ძეგლებს. გამხეცებული ფაშიზმი აწყობს გერმანიის უმწეო ებრაელი მოსახლეობის დარბევას. ფაშისტ დამრბევთა სისხლიანი თარეში მთელი მსოფლიოს მშრომელთა ღრმა აღშფოთებას იწვევს.

ლენინ-სტალინის პარტიის მიერ სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდილ ქართველ საბჭოთა ინტელიგენციას ღრმად აღშფოთებს ებრაელთა მხეცური დარბევა ფაშისტურ გერმანიაში. გერმანიის ფაშიზმის ეს თარეში მისი აღსასრულის მოახლოვებას მოასწავებს.

საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა ერთიან ოჯახში კიდევ უფრო მტკიცდება და ფართოვდება ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა (ტაში).

ალიო მაშაშვილის სიტყვა

მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობა შეაძრწუნა ცნობებმა გერმანიაში ფაშისტ დამრბევთა პარპაშის შესახებ. მთელი მოწინავე კაცობრიობა აღშფოთებულია ფაშისტი კაციჭამიების მხეცობით და გამოსთქვამს ზიზღსა და გულისწყრომას დამრბევლებისადმი.

გერმანია, რომლის ებრაელმა მოსახლეობამ მისცა კაცობრიობას მეცნიერებისა და ხელოვნების შესანიშნავი მოღვაწენი, დღეს პირსისხლიან დამრბევთა ველური პარპაშის ასპარეზი გახდა.

მეფის მთავრობა რუსეთში, სურდა რა გადაედო თავისი დაღუპვა, აგრეთვე მიმართავდა ებრაელთა პოგრომებს. მაგრამ ის, რაც ახლა ფაშისტურ გერმანიაში ხდება, არ შეიძლება შევადაროთ მეფის თვითნებობისა და საშუალოსაუკუნეობრივობის ყველაზე საშინელ სურათებსაც კი. არცერთ თაობას არ ახსოვს ასეთი მხეცური პარპაში, ასეთი ბარბაროსობა. ფაშიზმმა საზიზღრობის ყველა საზღვარი გადალახა.

ებრაელი ხალხი, რომელმაც კაცობრიობას მისცა მარქსი და ეინშტეინი, სპინოზა და ჰეინე, ამჟამად გერმანიაში განიცდის კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო დევნას, ცემა-ტყეპას, ხოცვა-ჟლეტას.

მთელი ცივილიზებული მსოფლიო შეძრწუნებულია იმ საშინელებებით, რომლებიც ფაშისტურ გერმანიაში ხდება.

ორდენოსანი საქართველოს მწერლები, დიადი საბჭოთა კავშირის მთელ ინტელიგენციასთან ერთად, ღრმად აღშფოთებული არიან ფაშისტ დამრბევთა სისხლიანი პარპაშით.

სიკვდილი პირსისხლიან ფაშიზმს!

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმობას და მის სულის ჩამდგმელს, ჩვენს იმედსა და სიამაყეს, დიდ **სტალინს**! (ტაში).

დ. არაყიშვილის სიტყვა

ვისაც მეფის რუსეთში უცხოვრია, მან იცის რა არის ებრაელთა პოგრომები, მას ახსოვს ველურობა მკვლელთა და მოძალადეთა გამხეცებული შავრაზმული ბანდისა, რომელთა ხელითაც იღუპებოდა დაბეჩავებული ღარიბი ებრაელი მოსახლეობა. ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ გაანადგურა მეფის ტახტი, დაამხო კაპიტალისტების და მემამულეების ბატონობა და დღეს ჩვენი ქვეყნის ხალხები ცხოვრობენ სტალინური კონსტიტუციის — თავისუფალ ხალხთა ძმური მეგობრობის ამ კაშკაშა შუქურა დროშის ქვეშ.

ჩვენ აღშფოთებით ვკითხულობთ ფაშისტურ გერმანიაში ებრაელთა დარბევის ცნობებს, ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ გახდა უმწეო, თავშესაფარმოკლებული, გატანჯული და დევნილი ებრაელი მოსახლეობა ფაშისტ დამრბევთა და მკვლელთა მსხვერპლი.

უმძაფრესი ფაშისტური ტერორის ქვეშ მგმინავი გერმანელი ხალხი ფაშისტ ბარბაროსებისადმი ზიზღითა და სიძულვილით არის აღსავსე. ფაშიზმი ცდილობს სისხლის ზღვაში გამონახოს გამოსავალი ჩიხიდან, მაგრამ ამაოდ, მათ ვერაფერი უშველის. მოახლოვდა ჟამი ანგარიშის გასწორებისა იმ საშინელ დანაშაულობისათვის, იმ მხეცობისათვის, იმ ბარბაროსობისათვის, რომლებმაც ასე შეაძრწუნეს და აღაშფოთეს მთელი მოწინავე კაცობრიობა.

○

გერმანიაში ებრაელთა სისხლიანი პოგრომების ორგანიზატორებისადმი ზიზღითა და სიძულვილით აღსავსე სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე დამსახურებულმა არტისტმა **ლ. გვარამაძემ**, სომხური დრამის მსახიობმა—დამსახურებულმა არტისტმა **ნ. ბეროიანმა**, ამავე თეატრის რეჟისორმა **ა. აბარიანმა**, გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობმა **ვ. ბრაგინმა** და რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობმა ქალმა **თ. თუშიშვილმა**.

სიამაყე და სიხარული გაისმოდა ორატორთა სიტყვებში, როდესაც ისინი ლაპარაკობდნენ ჩვენს მშვენიერ სოციალისტურ სამშობლოზე, სტალინურ კონსტიტუციაში აღბეჭდილ დიად გამარჯვებებზე, საბჭოთა კავშირის ხალხთა მზიურ სტალინურ მეგობრობაზე.

სიტყვების დასასრულს, მიტინგი ერთხმად ღებულობს სსრ კავშირის სახალხო არტისტის ამხ. **ა. ხორავას** მიერ წაკითხულ რეზოლუციას, რომელიც გამოხატავს თბილისის ინტელიგენციის გულისწყრომასა და აღშფოთებას ფაშისტურ ველურობათა გამო გერმანიაში.

თბილისის ინტელიგენციის საერთო-საქალაქო მიტინგის რეზოლუცია

სოციალიზმის ქვეყნის თვითეულ მშრომელში უღრმესი აღშფოთებისა და ზიზღის გრძნობას იწვევს გერმანელ ფაშისტთა მხეცური ძალადობა გერმანიაში მცხოვრები უმწეო და უუფლებო ებრაელი მოსახლეობის წინააღმდეგ.

ჩვენ, საქართველოს მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები და მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლები მწვავედ განვიცდით გერმანიის ებრაელი მოსახლეობის სისხლიან ტრაგედიას, ებრაელი მოსახლეობისა, რომელიც ფაშისტ დამრბევთა ბნელეთის მოციქულობისა და მხეცური კაცთმოძულეობის ახალი თარეშის მსხვერპლი გახდა.

პირსისხლიანმა ავანტიურისტებმა, გამხეცებულ მახინჯთა, საერთაშორისო ყაჩაღობის სულისჩამდგმელთა ხროვამ სისხლში მოსვრილი ნაჯახი აღმართეს უმწეო ებრაელი მოსახლეობის წინააღმდეგ.

გერმანელ ფაშისტთა ყვირილში „რასიული სიწმინდის შესახებ“ ძნელი არ არის გავარჩიოთ სისხლიანი აგონიით გაშმაგებული კანიბალები.

როგორც თავის დროზე რუსეთის მეფის თვითმპყრობელობა ცდილობდა შავრაზმელთა ხელით, სისხლიანი პოგრომების გზით თავი დაეღწია დაღუპვისათვის, ისე გერმანიის ფაშიზმიც ახლა, არბევს რა მშვიდობიან მოსახლეობას, ამაოდ ცდილობს გადასდოს განკითხვის მრისხანე ჟამი.

ფაშისტმა ბანდიტებმა დაიწყეს აშკარა ყაჩაღობა დიდსა და პატარა გზებზე, მაგრამ ისინი ვერ ასცდებიან ისტორიულ სასჯელს თავის სისხლიან დანაშაულთათვის.

ჩვენ ვიცით, რომ ფაშიზმის ბრჭყალებში მგმინავ გერმანელ ხალხს წილი არ უდევს იმ სისხლიან საშინელებებში, რომელნიც მთელ მსოფლიოს აძრწუნებენ. გერმანელი ხალხი თავის ხმას უერთებს მთელი მოწინავე კაცობრიობის აღშფოთების ხმას. დადგება ჟამი, როდესაც იგი ალგვის გათავხედებულ ფაშისტ ბანდიტთა მთელს ხროვას.

გერმანიაში ცხოვრების პირობების განუწყვეტელი გაუარესება აიძულებს ფაშისტ ბნელეთის მოციქულებს მიმართონ ახალ ავანტიურებს, მაგრამ მათ ვერ იხსნის ვერც პოგრომები, ვერც რასიული შოვინიზმი, ვერც საშუალო საუკუნეების კოცონები, რომლებზედაც სწვავენ ისინი მსოფლიო კულტურის საუკეთესო ძეგლებს. ამ კოცონთან კვამლს ამოფარებული ბარბაროსები საზიზღარ ძალადობას მიმართავენ უმწეო ებრაელი მოსახლეობის წინააღმდეგ.

ათასობით გაუბედურებული ადამიანები დარჩნენ გერმანიაში უსახლკაროდ. ათასობით ადამიანები განიცდიან ყოველ საათში საფრთხეს —გახდნენ ბარბაროსული თარეშის მსხვერპლნი.

გერმანიის ფაშიზმის სიმხეცისადმი სიძულვილის გრძნობით არის გამსჭვალული ამჟამად მთელი მოწინავე პროგრესიული კაცობრიობა.

კიდევ უფრო მეტად მტკიცდება ამ დღეებში სსრ კავშირის მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობა, კიდევ უფრო მტკიცდება მათი ინტერნაციონალური კავშირი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასთან. საბჭოთა კავშირი მშვიდობიანობის დიადი და ერთადერთი დასაყრდენია.

საბჭოთა ხალხი, მჭიდროდ დარაზმული ბოლშევიკური პარტიის გარშემო და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის, ამხანაგ სტალინის გარშემო, მიდის გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ კომუნიზმის გზით.

საბჭოთა ხალხი, აღჭურვილი მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი მოძღვრებით, უჩვენებს მთელი მსოფლიოს მშრომელთ სწორ გზას ნაციონალური და სოციალური განთავისუფლებისაკენ.

ჩვენ, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ადამიანები ისევე, როგორც სოციალიზმის ქვეყნის თვითეული მშრომელი, ვამაყობთ საბჭოთა მოქალაქეობით, ვამაყობთ იმით, რომ სოციალისტური კულტურის, საბჭოთა ჰუმანიზმისა და ნამდვილი დემოკრატიზმის მატარებლები ვართ.

ჩვენ ძლიერნი ვართ იმ დიადი უფლებებით, რომელნიც უზრუნველჰყო ჩვენთვის სტალინურმა კონსტიტუციამ, ჩვენ ძლიერნი ვართ ჩვენი სახელოვანი წითელი არმიით, მთელი საბჭოთა ხალხის მობილიზაციური მზადყოფნით.

და ახლა, როდესაც ფაშისტ ბანდიტთა ხროვა კვლავ ფეხქვეშ სთელავს ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს და ჰღვრის უმწეო ებრაელი მოსახლეობის სისხლს, ჩვენ ვამბობთ: მოახლოვებულია ჟამი, ის ჟამი, როდესაც დადგება ისტორიული განკითხვის დღე და აღიგვებიან პირისაგან მიწისა ფაშისტი ქვეწარმავალნი.

გაუმარჯოს გერმანიის მშრომელთ!

გაუმარჯოს დიად საბჭოთა კავშირს.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას).

გაუმარჯოს დიდ ბელადს, მამასა და მასწავლებელს, ჩვენს მშობლიურ სტალინს!

თბილისის ინტელიგენციის მიტინგი რუსთაველის სახელობის თეატრში

ოქროს თარიღი

ვასო გორგაძე

საუკუნეებს დღეს ერთი კიდევ
გადაანათებს ბრწყინვალე წელი —
ხალხთა უფლების დღეობა დიდი
და განახლების დღე საკვირველი.

მისი სხივები, როგორც მდინარე,
წავა, მოივლის ქვეყნიერებას,
ყველგან შეიტანს შუქმომფინარე:
სიცოცხლეს, ხალისს, ბედნიერებას.

არ დაიღლება მგოსნის მარჯვენა
ზიდოს ქნარზე მისი სახელი,
ვინც ეს ნეტარი დღე გაათენა.
და მზე აანთო საკუთარ ხელით.

დე, შეემატოს მრავალი წელი,
ვარდი ეფინოს იმას ყელამდი,
გვიცოცხლოს მარად, იყოს დღეგრძელი
ჩვენი მამა და ჩვენი ბელადი!

გმირული წარსულიდან

გ. კალანდაძე

რევოლუციის მსხვერპლთა მინდორი

გახსოვს ქუხილი ბალტიის ზღვაზე —
— დიდი ლენინის საქმე ნათელი —
და მშობლიური გრიგალის ხმაზე
მკლავამართული გოლიათები?!

აი, ოცნება უგალავანო
და იდუმალი ჩრდილების რხევა!

ქალაქის გულში დღეს მათ სავანეს
ნიავს უგზავნის ზვიადი ნევა.

წავა ნიავი მსუბუქფრთიანი,
ლაღი ორბივით გადიფრენს მთა-ბარს
და ვრცელ ქვეყანას მოსდებს შრიალით
მათი გმირობის საოცარ ამბავს.

ცარიცინის დაცვა

გმირული დღეები იმგვარი
წარსულმა ბრძოლებმა არ იცის:
დრო იყო ცეცხლის და გრიგალის —
— წითლები იცავდნენ ცარიცინს.

რომ საბედისწერო ბრძოლაში,
რისხვის და იმედის ხმალივით,

ცეცხლის და გრიგალის ქროლაში
ცარიცინს მოვიდა სტალინი.

და მისგან წითელმა ქალაქმა
ისწავლა ბრძოლების გატანა;
დაჰკრა და ექვს თვეში ალაგმა
ათასი მტერი და სატანა.

ოცწლიანი ვერხვები

მათ თვალწინ ბრძოლები გაშლილა,
ომების ქარცეცხლი ნთებულა
შემდეგ ის ვერხვები დაზრდილან —
საბჭოთა მზით დალაღებულან.

და მუდამ, დღეა თუ ღამეა,
მზეა, თუ მთვარეა ნამგალა,

მე ვისმენ მათ მრავალჟამიერს
და ვხედავ — მზის პირას დამდგარან.

მე ვხედავ — ვერხვი ვერხვს ეხვევა
და ვისმენ — ვერხვი ვერხვს შესძახის:
ბევრი რამ ვიცით ვერხვებმაც
გარდასულ ბრძოლების შესახებ.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის

განსაკუთრებული ინტერესით და აღფრთოვანებით შეხვდა მთელი პარტია, ყველა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ ისტორიულ დადგენილებაში მთელი გარკვეულობით და სიზუსტით მოცემულია ფართე პროგრამა მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდისა, **მარქს - ენგელს-ლენინ-სტალინის** დიადი მოძღვრების ღრმა და საფუძვლიანი დაუფლებისათვის.

დადგენილება მიუთითებს იმაზე, რომ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ჰქმნიდა რა „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსს“, გამოდიოდა შემდეგი ამოცანებისაგან: პარტიისათვის მიეცა პარტიის ისტორიის ერთიანი სახელმძღვანელო, რომელიც წარმოადგენს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი საკითხების ოფიციალურს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ შემოწმებულ განმარტებას, რომელიც შეუძლებელს ხდის რაიმე თვითნებურს განმარტებას; მოესპო ის მავნე გათიშვა პროპაგანდის დარგში მარქსიზმსა და ლენინიზმს შორის, რომელიც უკანასკნელ წლებში გაჩნდა და რომელსაც ის მოჰყვა, რომ ლენინიზმს ასწავლიდნენ, როგორც დამოუკიდებელ მოძღვრებას მარქსიზმისაგან მოწყვეტით; რომ ჩავატაროთ პარტიული კადრების აღზრდა პირველ რიგში, მარქსიზმ-ლენინიზმის **იდეების** საფუძველზე; რომ განთავისუფლებინა მარქსისტული ლიტერატურა გაუბრალოებისა და ვულგარიზაციისაგან მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიისა და პარტიის ისტორიის მთელი რიგი საკითხების განმარტებაში და თვალსაჩინოთ ცხადეყო ძალა და მნიშვნელობა მარქსისტულ-ლენინური თეორიისა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მთელი სიმკვეთრით ხაზგასმულია ჩვენი კადრების მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების ამოცანა: „შეცდომა იქნება ვიფიქროთ, თითქოს თეორიის დაუფლების ამოცანის დაძლევა შეუძლია მუშაკთა მხოლოდ მცირე ჯგუფს. მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება შესაძენი საქმეა. სწორედ ახლა, სსრ კავშირში საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალიზმის გამარჯვების დროს, შექმნილია განუსაზღვრელი შესაძლებლობანი იმისათვის, რათა ჩვენი ხელმძღვანელი კადრები წარმატებით ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, სწავლობდნენ პარტიის ისტორიას, მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ნაშრომებს. იმისათვის, რომ დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, უნდა გამოვიჩინოთ მხოლოდ სურვილი, დაჟინება და ხასიათის სიმტკიცე ამ მიზნის მიღწევაში“.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისაკენ მოუწოდებს პარტია თავის წევრებს, ყველა პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკს.

ჩვენი კადრების იდეური შეიარაღების უაღრესად გაზრდილი მოთხოვნილებებს უნდა შეეფერებოდეს ბოლშევიკური პროპაგანდის ორგანიზაციაც. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, დაგმო რა წრეებში კომუნისტების რიცხობრივი ჩაბმისადმი გამოდევნება, გამოიმუშავა ბოლშევიკური პროპაგანდის ორგანიზაციის ფართო პროგრამა. მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის საფუძვლად წარმოადგენს „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი“, რომლის მიხედვითაც უნდა ჩატარდეს ლექციები, კონსულტაციები, გამოყენებული იქნას ბეჭდვითი პროპაგანდის ყველა ფორმები, რაც ყოველნაირად შეუწყობენ ხელს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად დაუფლების საქმეს. წრეებში მონაწილეობის მიღება, მასში მუშაობა მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობის საქმედ არის გამოცხადებული.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მთელი გარკვეულობით ჩამოყალიბებულია ამოცანა ჩვენი, საბჭოთა, პარტიული და არაპარტიული ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე.

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ისეთი ინტელიგენცია, როგორსაც წარმოადგენს საბჭოთა ინტელიგენცია. „თავის მასაში იგი სრულიად ახალი ინტელიგენცია გახდა. მისი უმრავლესობა გამოსულია მუშათა და გლეხთა წრიდან. იგი ემსახურება არა კაპიტალიზმს, როგორც ძველი ინტელიგენცია, არამედ სოციალიზმს. ინტელიგენცია გახდა სოციალისტური საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრი. ეს ინტელიგენცია მუშებთან და გლეხებთან ერთად აშენებს ახალ სოციალისტურ საზოგადოებას“ („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი“, გვ. 418).

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მოცემულია თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ახალი, საბჭოთა ინტელიგენციისადმი, რომელიც მუშათა კლასისა და გლეხობის ხორცი-ხორცთაგანია. საბჭოთა ინტელიგენცია დიდი პოლიტიკური ძალაა, რომლისადმიც საჭიროა განსაკუთრებული მზრუნველობის გამოჩენა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მითითება სხვებთან ერთად ლიტერატურისა და ხელოვნების ფრონტზე მომუშავე სამწერლო ინტელიგენციასაც მთელი სისრულით შეეხება.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული ჩვენი ბეჭდვითი ორგანოების—გაზეთებისა და ჟურნალების, ჩვენი თეორეტიული ფრონტის მუშაკების მიმართ. წარმატება პარტიის პროპაგანდისტულ და თეორეტიულ მუშაობაში წარმოუდგენელია იმ გათიშვის გადაულახავად, რომელიც დღემდე არსებობდა სიტყვიერ და ბეჭდვითი პროპაგანდას შორის.

საქართველოს საბჭოთა მწერლების გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ მოწოდებულია სათანადო მუშაობა გაშალოს საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე რაზმში—საბჭოთა მწერლებს შორის მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, მათ მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებისათვის.

თვითკრიტიკის წესით უნდა ითქვას, რომ ჩვენმა გაზეთმა დღემდე ძლიერ ცოტა გააკეთა მწერლების იდეურ - თეორეტიული შეიარაღების საქმეში. აუცილებელია ამ საქმეში ძირეული გარდატეხა მოვახდინოთ.

საბჭოთა მწერლები მოწოდებული არიან მხატვრული საშუალებებით აღზარდონ მკითხველი მასები. ნაწარმოების იდეურ - მხატვრული დონის ამაღლებისათვის კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თვით საბჭოთა მწერლების თეორეტიულ შეიარაღებას. **მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის** გენიალური ნაწარმოების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა განუსაზღვრელად გაამდიდრებს მწერლის შემოქმედებას.

საქართველოს საბჭოთა მწერლების პარტორგანიზაციამ, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელმა ორგანოებმა თავიანთი მუშაობა მწერლების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის უნდა წარმართონ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ ბრძნული დადგენილების საფუძველზე.

კ ი რ ო ვ ი

(პროლოგი პოემიდან „ღამე ბრძოლის წინ")

მ. ბაჟანი

ყასპიის მიწა მზით დამწვარა, დაკორძებულა,
უდაბნოს გაღმა ყვავილობენ ქართლის ბაღები,
ინთქება ტბები ცხელ მიწაში დამცხრალ ტალღებით, —
ბრუნვით დაძრულან ბაქოს ქარნი რისხვისებურად!
ეს ქარი შეხვდა მაღალ დროშებს ველური ხვნეშით,
კიროვის დროშა ქარს შეება ფრთების ფართქალით...
და ამ ქვიშნარზე, ამ გარეჩილ ხმელ ბალახებში
მხნედ მიიწევდა უძლეველი ქუსლი სარდალის!
აქ შედგა მხოლოდ ერთი წამით, და ძირს დაიგო
მან თოფის წამლით გაჟღენთილი შავი ნაბადი, —
იდგა ბრძოლის წინ გამობრძმედილ ჯარში და იყო
ძმა, ამხანაგი,
სარდალი და ბელადი მათი.
იგივ ქართველი, დონბასელი, ლეკი და თურქი
შემოკრებილან ეხლა მასთან და ძმათ ეგულვით!
ხრიოკი მიწა გდია როგორც აქლემის ზურგი
და შორით ღმუის ზღვა და ღამე შეგუბებული.
სადღაც გუშაგის ნაბიჯებიც ბნელში არსებობს,
რომ ჩუმად ზომოს მდუმარება და სივრცე ბნელი...
სერზე კი ისევ კიროვი დგას და მის გარშემო
ალმურით სუნთქავს ქახვისფერი უდაბნო ველი.
უდაბნო ველნი გადასულნი ჰორიზონტს იქით,
რომელთაც ნავთის თავადების ხელნი ფარავდნენ;
მდუმარებს თვალწინ გაწოლილი.., და ხედავს იგი:
სურახანიდან
ბარგუშეთით
განჯის კარამდე
მიწაზე გართხმულ მიწურ ქოხებს და მარად ჩაგრულ
ველურ ცხოვრებას მიტოვებულს ქარის ამარად,
ქამა-სმისა და ძილისათვის მიწაში ჩადგმულ
ქვიტკირის ყუთებს, — დამონებულთ თავშესაფარად,
სადაც ნეხვში და ქეჩის ნახევში იბადებიან
სადაც სიკვდილი სიხარულზე მეტჯერ ყოფილა! —
სასოწარკვეთილ ოჯახს ყველი ჩაუკვეთია
და ქერის ხმელი ლავაშებიც გამოცხობილა!
ეხლა იქ აღსდგა უკვე ხალხის ამოძახილი,
ხედავს ქოხები თვალებივით ახელენ კარებს,
აიწევს ზურგი სიბნელეში დაბლა დახრილი, —
ჯარის ყიჟინა იმედივით მიჰყვება ქარებს.

მან ქარში თვალი გააყოლა ტყვიას გასროლილს.
ნახა გაგმირულ ოფიცერის ხმალის მოქნევა,
შეხვდა დაშნაკურ მაუზერის სულთმობრძავ სლოკინს
და დამარცხებულ მუსავატთა ბრბოების რბევას.

ძლევამოსილად მთავრდებოდენ ბრძოლები მათი
ბურღებით დახრულ დედამიწის გულს მიღწეული!
სადაც მორევად ჩაგუბულა ფენებში ნავთი —
უდაბნო მიწის
დაუშრეტელ სისხლად ქცეული!
და ფიქრობს იგი, — გადმომდგარი ვრცელ ბრძოლის ველზე:
„დროა ყიჟინით ამუშავდენ ბურღები ისევ!
დოვლათს მტერთაგან მიტოვებულს ამაოდ ვეძებ,
გმირული შრომის მოყვარული და მოხალისე! —
დე, შადრევანმა ამოხეთქოს უდაბნოს გული —
ცას ამოსუნთქვით შეაყაროს სველი ქვიშანი!
მილებს გაჰყვება ნავთის ტალღა ამბოხებული,
როგორც არმიის გამარჯვების ერთი ნიშანი!

მთარგმნელი **კარლო კალაძე**

ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი სიმფონია

კომპოზიტორი შოსტაკოვიჩი ამჟამად მუშაობს ახალ ნაწარმოებზე, რომელსაც იგი უწოდებს „მეექვსე სიმფონიას". ავტორის განზრახვით, ეს იქნება ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი მონუმენტური ნაწარმოები, რომელმაც უნდა გამოხატოს მუსიკისა და სიტყვის საშუალებით მშრომელთა გენიალური ბელადის სახე.

კომპოზიტორი თავის ნაწარმოებისათვის მასალად იყენებს ლენინის შესახებ შექმნილს ხალხურ სიმღერებსა და ლექსებს. კომპოზიტორის განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია დაღესტნის სახალხო პოეტის სულეიმან სტალსკისა და ყაზახისტანის სახალხო პოეტის ჯამბულის ლექსებს. ზოგიერთი მათგანი კომპოზიტორმა უკვე შეარჩია თავისი ნაწარმოებისათვის.

მეექვსე სიმფონია იწერება იმ ვარაუდით, რომ იგი ერთ და იმავე დროს შესრულებულ იქნეს ორკესტრის, გუნდისა და სოლისტების მონაწილეობით.

უკრაინული კრებული შოთა რუსთაველზე

უკრაინის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის შევჩენკოს სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა შოთა რუსთაველს ცალკე კრებული უძღვნა.

კრებულში მოთავსებულია შემდეგი მასალები „საბჭოთა ლიტერატურის დიდი დღესასწაული" (მოწინავე „პრავდიდან") 26/XII—1937; აკად. პ. ტიჩინა—„ის ცხოვრობს სიმღერებში, დიდებაში, ფიქრებში"; პ. ინგოროყვა—„შოთა რუსთაველი და მისი პოემა"; ნ. ტიხონოვი—„პოეტი და ქვეყანა"; მ. ბაჟანი—„ჩვენ ხალხთა დიდება"; დოც. ს. იორდანიშვილი—„რუსთაველის პოემის „ვეფხის ტყაოსნის" შინაარსი და ბედი"; პროფ. კ. კეკელიძე—„საქართველოს სოციალ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა რუსთაველის ეპოქაში"; ს. ჩიქოვანი—„სიყვარული, მეგობრობა და გმირობა რუსთაველის პოემაში"; პროფ. ა. ბარამიძე —„ტარიელი"; ს. ყუბანეიშვილი—„ვეფხის ტყაოსნის" გმირები ხალხურ გადმოცემებში"; იასამანი—„შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი" უკრაინულ ენაზე"; პ. ტიხოვსკი—„ო. ო. ნავროცკის თარგმანი შოთა რუსთაველის პოემისა"; დმ. კოსარიკი—„ახალი ბიოგრაფიული ცნობები დავით გურამიშვილის შესახებ" და ბიბლიოგრაფია.

როგორც ვხედავთ კრებულში მოთავსებული მასალა ეხება რუსთაველის ეპოქის და რუსთაველის გენიალური ნაწარმოების ყველა მხარეებს.

„პრავდის" მეთაურის შემდეგ პირველი მოთავსებული წერილი წარმოადგენს პოეტისა და აკადემიკოსის პავლო ტიჩინას მიერ თბილისში, საკავშირო საბჭოთა მწერლების რუსთაველის პლენუმზე, წარმოთქმულ სიტყვას. ამ მეტად შინაარსიან სიტყვაში ჩვენ გვაქვს რუსთაველის ღრმა დახასიათება, მისი პოეზიის მაღალი შეფასება. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს „ვეფხის ტყაოსნის" უკვდავ ჰუმანიურ იდეებს. ეს იდეები, ადამიანთა ძვირფასი სულიერი საუნჯენი, ავტორის სიტყვებით „დიდი პროლეტარული რევოლუციის შემდეგ სახალხო საუნჯედ გადაიქცა". ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველთან ერთად ჩვენი ხალხის ნამდვილ კუთვნილებად გადაიქცნენ პუშკინი, გრიბოედოვი, შევჩენკო და სხვები. ეხება რა უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობას წარსულში, აღნიშნავს, რომ საქართველოს უდიდესი პოეტი მე-18 საუკუნისა დავით გურამიშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მირგოროდში 16 წელი და იქ დასწერა მან საუკეთესო თავისი ნაწარმოებები.

პ. ინგოროყვას წერილის შინაარსს კარგად იცნობს საბჭოთა საზოგადოებრივობა. წერილი წარმოადგენს რუსთაველის პლენუმზე წარმოთქმულ ვრცელ მოხსენებას.

მეტად საყურადღებოა პოეტის ნ. ტიხონოვის „პოეტი და ქვეყანა". ესეც ის სიტყვაა, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ რუსთაველის პლენუმზე თბილისში. მეტად ორიგინალურად ეხება ტიხონოვი პოემის სხვადასხვა მხარეს და იმ ისტორიულ პირობებს, რომელშიაც იმყოფებოდა საქართველო რუსთაველის პოემის დაწერის დროს.

მიკოლა ბაჟანის მგზნებარე სიტყვა, რომელიც მან რუსთაველის პლენუმზე წარმოსთქვა, უსათუოდ დიდი ყურადღების ღირსია. უდიდესი ოსტატი უკრაინული სიტყვისა, უკრაინულ ენაზე „ვეფხის ტყაოსნის" მთარგმნელი, პოეტი ბაჟანი, ღრმად ჩასწვდა პოემას, აითვისა „ვეფხის ტყაოსნის" სოციალური ჟღერა, და მისი წერილიც ამ გარემოებას ამჟღავნებს. საყურადღებოა წერილის ის ადგილი, სადაც მიკოლა ბაჟანი ერთმანეთს ადარებს იაროსლავნას მოთქმას („იგორის ლაშქრობის ამბავი-"დან) და ნესტან დარეჯანის სიტყვებს.

დოც. ს. იორდანიშვილს საკმაო ღვაწლი მიუძღვის უკრაინულ ენაზე „ვეფხის ტყაოსნის" თარგმნის საქმის მოგვარებაში. როგორც ვიცით ბაჟანი მისი დახმარებით და კონსულტაციით სარგებლობდა. კრებულში მოყვანილი წერილი შეიცავს „ვეფხის ტყაოსნის" ვრცელ შინაარსს და ეხება „ვეფხის ტყაოსნის" ხელნაწერების ბედს.

პროფ. კ. კეკელიძის ვრცელი და საქმის ღრმა ცოდნით დაწერილი გამოკვლევა ეხება რუსთაველის ეპოქაში საქართველოს სოციალ-პოლიტიკურსა და კულტურულ მდგომარეობას.

საყურადღებოა ს. ჩიქოვანის წერილი „სიყვარული, მეგობრობა და გმირობა რუსთაველის პოემაში". ქართველი მკითხველი საზოგადოება იცნობს ამ წერილს.

ვრცლად არის დაწერილი პროფ. ალ. ბარამიძის მიერ ტარიელის დახასიათება.

ს. ყუბანეიშვილი ეხება „ვეფხის ტყაოსნის" გმირების დახასიათებას ხალხურ თქმულებათა მიხედვით. ფრიად საყურადღებოა ის მასალები ხალხური თქმულებიდან, რომლებიც ავტორს მოჰყავს თავის გამოკვლევაში.

პ. ტიხოვსკი ეხება „ვეფხის ტყაოსნის" პირველ მთარგმნელს უკრაინულ ენაზე ო. ო. ნავროცკის. ავტორი აღნიშნავს, რომ ნავროცკის არ დასცალდა მთელი პოემის თარგმნა და მან პოემის მხოლოდ ნაწილი თარგმნა. მეტად საყურადღებოა უკრაინულ ენაზე „ვეფხის ტყაოსნის" პირველი მთარგმნელის ნავროცკის ბიოგრაფია. ო. ო. ნავროცკი დაბადებულა პოლტავის გუბერნიაში 1823 წ. დაუმთავრებია კიევის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტი. უნივერსიტეტის წლებშივე გასცნობოდა საიდუმლო „ამხანაგობას" (ე. წ. კირილე—მეთოდიელთ ამხანაგობას). ამ ამხანაგობაში მონაწილეობის გამო ის 1847 წელს გადაუსახლებიათ ვიატკაში, სადაც რამდენიმე წელს დაჰყო. 1853 წელს ის გადაუყვანიათ კავკასიაში. უმსახურნია გუბერნატორთა კანცელარიებში თემირხან-შურასა და ერევანში. გარდაიცვალა თემირხან-შურაში.

ნავროცკის უთარგმნია „ვეფხის ტყაოსნის" შესავალი და 44 თავი. თარგმანი ურითმოა და თავისუფალი. აღებულია ექვსტერფიანი ქორეული ლექსი. ტაეპში 4 სტრიქონის მაგივრად მოცემულია 6-7-8 სტრიქონი.

კრებულში მოთავსებულია ნავროცკის თარგმნის ნიმუშები.

დასასრულ კრებულში მოთავსებულია ახალი ბიოგრაფიული ცნობები პოეტის დავით გურამიშვილის შესახებ. გამოკვლევის ავტორი დმ. კოსარიკი აღნიშნავს, რომ დავით გურამიშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა უკრაინაში 16 წელიწადი. 1725 წელს ის, ჯერ კიდევ 20 წლის ჭაბუკი, ტყვედ ჩაუვარდა ლეკებს. შემდეგ ტყვეობიდან გაიქცა, მაგრამ არა სამშობლოში, არამედ რუსეთში. დედოფალი ანა ყმებით ასაჩუქრებდა ომში მონაწილე ოფიცრებს და „ოსტავნოი პორუტჩიკს დავიდ გურამოვს" (როგორც ის იწოდება დოკუმენტებში) ყოლია „ოცი კომლი".

პოლტავას სახელმწიფო არქივში აღმოუჩენიათ ორი დოკუმენტი («Ревизския сказки за 1782 год Миргородского уезда» «Ревизския сказки Миргородского уезда 1873 г.) დოკუმენტთ შორის შენახულია დავით გურამიშვილის ყმათა სია. ამ სიიდან სჩანს, რომ 1783 წლისათვის დავით გურამიშვილის ყმათა რიცხვი 203 კაცამდე გაზრდილა. მკვლევარი აქედან დაასკვნის, რომ გურამიშვილი თავის ყმებს არც ჰყიდდა და არც სხვებისაგან ყიდულობდა, ვინაიდან თვით „რევიზსკია სკაზკ"-ში მეორდება მხოლოდ ორი ათეული სახელწოდება. დოკუმენტებში ნახსენებია გურამიშვილის კარის მოსამსახურენი. მათ შორის ანტონ ოთაროვი 23 წლისა, ცოლით და ივანე საგინაძე, 53 წლისა, ორი მცირეწლოვანი შვილით მიხაილოთი და ლეონტით.

მირგოროდის უხუცეს ქართველ მცხოვრებთა დაკითხვით მკვლევარს მიუგნია იმ ადგილისათვის, სადაც ცხოვრობდა დავით გურამიშვილი (აქ განზრახულია ძეგლის აგება) იმავე დოკუმენტებიდან ცხადია, რომ მირგოროდში გურამიშვილის დროს ცხოვრობდნენ აგრეთვე სხვა ქართველებიც.

მკვლევარმა მოახერხა აგრეთვე გურამიშვილის მამულის მონახვაც. მირგოროდიდან ჩრდილო-დასავლეთით მდინარე ხოროლს ახლოს მდებარეობს სოფელი ზაირი, რომელსაც თურმე ძველად ერქვა გურა ანუ გურკა. დოკუმენტში ნახსენებია სოფელ სავინცი, როგორც გურამიშვილის მამული, ხოლო ეს სოფელი „ხუტორ" ზაირიდან 4 კილომეტრის მანძილზე იმყოფება და იგი ძველად ადმინისტრატიულად გაერთიანებული იყო ხუტორთან.

ერთერთ დოკუმენტიდან აშკარად სჩანს, რომ გურამიშვილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ყოფილა ქ. მირგოროდი. ამ დოკუმენტიდანვე ირკვევა პოეტის მამის სახელი (თავადი დავით ეგორგისძე გურამიშვილი). აქედანვე ირკვევა პოეტის დაბადების თარიღი 1705 წ. აქედანვე სჩანს, რომ 76 წლის პოეტი უკვე ცოლიანი ყოფილა. მისი ცოლი ტატიანა ვასილის ასული 20 წლით ახალგაზრდა ყოფილა პოეტზე.

რაც შეეხება სოფ. ზუბროვკას, რომლის შესახებ ფიქრობდნენ, თითქოს გურამიშვილს უცხოვრია ამ სოფელშიო, ამის შესახებ არავითარი დოკუმენტები არ აღმოჩენილა. მკვლევარი ფიქრობს, რომ პოეტი ახსენებს ზუბივკას ალბათ იმიტომ რომ მირგოროდიდან ხუტორ ზაირში მიმავალი გზა ამ სოფელზე გადისო. დოკუმენტიდან აშკარა ხდება, რომ აღწერის დროს გურამიშვილს შვილი არ ჰყოლია.

აღნიშნული კრებული საერთოდ მდიდარ მასალას შეიცავს რუსთაველზე და მის ეპოქაზე, მშვენივრად არის წიგნი გამოცემული. წიგნს დართული აქვს რუსთაველის სურათი და აგრეთვე სახალხო სკულპტორის პროფ. იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული რუსთაველის ბიუსტის სურათი.

იასამანი

აკოფ აკოფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი წლის წინათ გარდაიცვალა უხუცესი სომეხი პოეტი აკოფ აკოფიანი. მას კარგად იცნობდა არა მარტო სომხეთის, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხი.

იგი იყო სომხეთის პროლეტარული პოეზიის პიონერი და მთელი 50 წლის მანძილზე დაუღალავად ემსახურებოდა სოციალიზმის გამარჯვების საქმეს.

აკოფიანის ლექსები თარგმნილია რუსულ, ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე. ისინი გამსჭვალულნი არიან პროლეტარული [illegible] მის იდეით [illegible] უწიეს ამიერ-კავკასიის მოძმე ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს.

აკოფ აკოფიანის სამწერლო-მოღვაწეობა ღირსეულად დაფასებულ იქნა და მას მიენიჭა სომხეთისა და საქართველოს სახალხო პოეტის სახელწოდება.

აკოფ აკოფიანის გარდაცვალებიდან ერთი წლისთავის შესრულების გამო მწერალთა კავშირში 22 ნოემბერს შესდგა მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

შესავალი სიტყვა სომხეთის მხცოვანი პოეტის შემოქმედების შესახებ წარმოსთქვა სანდრო ეულმა, აკოფ აკოფიანის ცხოვრებისა და შემოქმედების გარშემო ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ა. კარინიანი.

მოხსენების შემდეგ აკოფ აკოფიანის ლექსების საკუთარი თარგმანები წაიკითხეს ვ. გორგაძემ, შარტიმ და ი. იმედაშვილმა. მწერლისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა ს. ავჩიანმა.

დასასრულს აკოფ აკოფიანის სომხური ლექსები წაიკითხეს ხ. სეროფიანმა, ხაჩატურიანმა და სხ.

ე პ ი ლ ო გ ი

ა. აკოფიანი

ვენაცვალე მე იმ დღეს, ვენაცვალე იმ საათს,
როცა კიდევ ვეღირსე შირკანალთან მასლაათს,
ვნახე მისი ტკივილი, როს პირველად გათხარეს,
ეხლა რა შეედრება ამ ბაღებს და ამ მხარეს!
ირგვლივ ყვავილნარია, ხეივნები საამო,
და სინათლის ეკლებსა დაუცხრილავს საღამო,
ვარსკვლავების ჯადოწრეს ცაში გააქვთ თარეში,
თითქოს გადავინაცვლე სადღაც ზღაპრულ მხარეში.
აქ ქარხნების. მილები მხიარულად ჰკივიან,
აქ ალისფერ ალების ცეცხლია და სხივია.
ტყე ირხევა საამოდ სიოს ნაზი შებერვით
სიჯეელეს შეიგრძნობს თვით მიხრწნილი ბებერი.
შირკანალი სომხეთის გმირი ბოლშევიკია, —
და მე, მისი მგოსანი, ვაქებ, როგორც მიქია.

სომხურით თარგმნილი **ი. გრიშაშვილის** მიერ.

ნ ა ვ ა ი

1941 წელს სრულდება 500 წელი უზბეკისტანის უდიდესი პოეტის მირ-ალი-შირ-ნავაის დაბადებიდან. ამ დღესასწაულის ჩასატარებლად უზბეკისტანის სსრ უმაღლესმა საბჭომ გამოჰყო საიუბილეო კომიტეტი, რომელშიაც შედიან საბჭოთა კავშირის ცნობილი მწერლები და მეცნიერი მუშაკები. საიუბილეო კომიტეტი უკვე შეუდგა მუშაობას. პირველ რიგში დაწყებულია ნავაის ნაწარმოებთა შეგროვება და მზადება მის თხზულებათა გამოსაცემად უზბეკურ და საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე. ამ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია. ტაშკენტში დაიდგმება ამ დიდი პოეტის ძეგლი. იუბილე ჩატარდება საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში.

მირ-ალი-შირ-ნავაი უზბეკური ახალი ლიტერატურის მამამთავარია. ძველად უზბეკურ ენაზე წერა სათაკილოდ ითვლებოდა. ნავაიამდე უზბეკელი პოეტები სწერდნენ ირანულ ენაზე.

მირ-ალი-შირ-ნავაიმ პირველმა აღიმაღლა ხმა უზბეკურ ლიტერატურის უცხო გავლენისაგან განსათავისუფლებლად. მან თავის ტრაქტატში „ორი ენის შედარება" (ირანული და უზბეკური) ნათელჰყო უზბეკური ენის სიმდიდრე და სილამაზე. ეს მან უფრო სიცხადით დაამტკიცა თავისი მხატვრული ნაწერებით.

მირ-ალი-შირ ნავაის დარჩა უდიდესი მემკვიდრეობა. იგი მეტად ნაყოფიერი პოეტი იყო. ერთ-ერთი მისი კრებული შეიცავს 55.000 ლექსს. მის კალამს ეკუთვნის ასეთი სახის 3 კრებული.

მას დაწერილი აქვს რამდენიმე პოემა: „ფარხადი და შირინი", „ლეილი და მეჯნუნი", რომლებიც თავისი ღირსებითა და სიძლიერით მოგვაგონებენ „ტრისტან და იზოლდას", „აბესალომ და ეთერის" და სხვ.

ნავაის მოღვაწეობა მარტო პოეზიით არ შემოიფარგლება. იგი ისტორიკოსია, მუსიკოსია, ლინგვისტია და საერთოდ ფარველობს მის თანადროულ მეცნიერებას. მან პირველმა დასწერა უზბეკურ ლიტერატურის პოეტიკა, დასტოვა მეცნიერული ნაშრომები ესთეტიკის შესახებ და სხ.

უეჭველია, უზბეკისტანის მოძმე ხალხის საყვარელი პოეტის მირ-ალი-შირ-ნავაის იუბილე მთელი საბჭოთა ხალხის დღესასწაულად გადაიქცევა.

„პ ი რ ი ს პ ი რ"

ვ. წულუკიძე

არც ერთს ნაწარმოებს, მეცნიერული იქნება იგი თუ მხატვრული, — გვასწავლის ლევ ტოლსტოი, — არა აქვს გამართლება, თუ იგი არ ლაპარაკობს რაიმე ახალს, არ აშუქებს რაიმე უცნობ კუთხეს იმათთვის, ვისთვისაც იგი დაწერილია.

როგორც ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში, ისე ჩვენი ქვეყნის ახლო და შორეულ წარსულში ბევრია ისეთი სფერო საზოგადოებრივი მოძრაობისა, რომელიც მხატვრული ასახვის ობიექტად ჯერ კიდევ არ გაუხდია საბჭოთა მწერლობას. სწორედ ამას გულისხმობდა სოციალისტურ მწერლობის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი, როცა იგი ლაპარაკობდა მივიწყებულ და გამორჩენილ თემებზე.

გვაქვს თუ არა საფუძველი ვუსაყვედუროთ ქართულ საბჭოთა მწერლობას, რომ მას გამორჩა ის ხანმოკლე, მაგრამ მძიმე პერიოდი ქართველი ხალხის ცხოვრებისა, როცა ხალხის მოღალატე და გამცემი — მენშევიკები შეეცადნენ საქართველო მოეწყვიტათ რუსეთის რევოლუციურ მოძრაობისაგან, ხოლო ქართველი მუშებისა და მშრომელი გლეხობის მისწრაფება კვლავ შეერთებოდნენ ამ დიად მოძრაობას სისხლში ჩაარჩვეს და საქართველო შეაბეს საერთაშორისო იმპერიალიზმის კოლონიურ უღელში. ეს საფუძველი ჩვენ არა გვაქვს.

საბჭოთა მკითხველს შეუძლია გაიხსენოს რამდენიმე ისეთი მხატვრული ნაწარმოები, რომელნიც ამ პერიოდს ეხებიან, მაგრამ ზოგიერთ ამ ნაწარმოებში ავტორთა დაკვირვების არე შეზღუდულია, იგი არ სცილდება სოფელს და სოფლად შექმნილს იმდროინდელ ვითარებას, ხოლო ზოგი ამ ნაწარმოებთაგანი ვერ ადის მხატვრული განზოგადოების სიმაღლემდე.

სიახლე ალ. ქუთათელის რომანის „პირისპირი"-სა, რომლის მეორე წიგნი ახლახან გამოვიდა, მდგომარეობს იმაში, რომ იგი წარმოადგენს პირველ ნაყოფიერ ცდას მოგვცეს საქართველოს მაშინდელი მდგომარეობის სინთეტიური სურათი, დაგვანახოს იმდროინდელი საქართველოს სახე ყველა კუთხიდან.

ალბად მკითხველს ახსოვს, რომ ალ. ქუთათელი თავის რომანის პირველ წიგნში გვიხატავს რა 1917 წლის საქართველოს, მოქმედებას შლის ქალაქში და ფრონტზე, გამოჰყავს ქალაქის სოციალური ძალები,—წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია, თავადაზნაურობა, მოსწავლე ახალგაზრდობა, ოფიცრობა, ქართველი ჯარის ნაწილები, პოლიტიკური პარტიები, ხელისუფლების სათავეში მოქცეული ავანტიურისტები, რომლებიც იბრძვიან იმისათვის, რომ როგორმე თავი დააღწიონ ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის ტალღებს.

ქალაქი და საგარეო ომის ფრონტი—ასეთია ალ. ქუთათელის გმირების გარემოცვა პირველ წიგნში, რომელზედაც ჩვენ არ შევჩერდებით. მეორე წიგნში ალ. ქუთათელს მოქმედება გადააქვს უმთავრესად სოფელში და აგვიწერს იმ წლებს, როცა გერმანიის იმპერიალიზმისაგან ზურგგამაგრებული მენშევიკური მთავრობა იწყებს ბურჟუაზიული სახელმწიფოს ორგანიზაციას.

ცნობილია, რომ მენშევიკურმა „რეფორმამ" არა თუ გააუმჯობესა, არამედ, როგორც მოსალოდნელი იყო, უკიდურეს გაჭირვებამდე მიიყვანა ულარიბესი გლეხობის მდგომარეობა, რადგან მენშევიკების აგრარულმა კანონმა ხელუხლებელი დასტოვა მემამულური მიწათმფლობელობა, გააძლიერა და განამტკიცა კულაკური მეურნეობანი.

მშრომელმა გლეხობამ მენშევიკურ „რეფორმას" დაუსრულებელი აჯანყებით უპასუხა. 1918 წლიდან დაწყებული, ვიდრე მენშევიკური ხელისუფლების დამხობამდე აჯანყებულთა მოძრაობა არ შეწყვეტილა მთელ საქართველოში. ღარიბი და საშუალო გლეხობა ლამობდა რევოლუციური მოქმედების გზით შეეცვალა მენშევიკური აგრარული „რეფორმა", რომელმაც მემამულეებს არ აწყენინა, ხოლო კულაკები დიდათ მოიმადლიერა. აჯანყებულებს დაუპირისპირდნენ აზნაურები, კულაკები, მღვდლები, სოფლის და ქალაქის ვაჭრები, სხვადასხვა ჯურის პარაზიტები. ჩვენ მოწმე ვიყავით თუ რა დაუნდობლობით უსწორდებოდა ეს პირისისხლიანი ბანდა გლეხთა აჯანყებებს. დამსჯელი ექსპედიციები, რომელნიც მთლიანად ძველი ოფიცრებისა, თავადაზნაურულ - კულაკურ ახალგაზრდობის და ყაჩაღური ელემენტებისაგან შესდგებოდნენ, მთელს საქართველოში დათარეშობდნენ, არბევდნენ გლეხთა კარმიდამოებს, შოლტავდნენ მოხუცებს, სწვავდნენ მთელ სოფლებს, სიკვდილით სჯიდნენ რევოლუციურ გლეხებს.

ამ გამძაფრებული სამოქალაქო ომის პერიოდში შექმნილსა და საქართველოს ყველა კუთხისათვის დამახასიათებელ ვითარებას გვიხატავს ალ. ქუთათელის მეორე წიგნი.

ალ. ქუთათელმა საქართველოს მაშინდელი ვითარების ეს მძაფრი პერიოდი გვიჩვენა არა აბსტრაქტულ კატეგორიებში, არამედ სახეებში, კონკრეტულ ხასიათებში, ინდივიდუალურ პირთა თავგადასავალში. ავტორმა გამოიყენა ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი. ბარიკადების როგორც ერთს, ისე მეორე მხარეზე მდგარი ყველა ძალა სისრულით წარმოგვიდგინა. თვითეული ფენა განასახიერა არა ერთსა და ორს, არამედ რამდენიმე პერსონაჟში. და თვითოული ამ პერსონაჟთაგანი აღჭურვა განუმეორებელი თავისებურობით, ისე, რომ ერთი და იმავე სოციალური ფენის წარმომადგენელნი თავისი ინდივიდუალობით არ გვანან ერთმანეთს. ყოველ მათგანს, როგორც მაშინდელი ცხოვრების კონკრეტულ მოვლენას, მოეპოება განსაკუთრებული რაღაც ხასიათში, რაც მას თავისი სოციალური წრის ადამიანისაგან ანსხვავებს. ქუთათელს მასიურად გამოჰყავს ხასიათები აზნაურობიდან, გლეხობიდან, ინტელიგენციიდან ქალაქისა და სოფლის წვრილ ბურჟუაზიულ ფენებიდან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ალ. ქუთათელმა თუ სრულად არა, დაახლოებით სისწორით მაინც გვიჩვენა მაშინდელი ინტელიგენტური საზოგადოების ინტელექტუალურ-მორალური სამყარო.

სამწუხაროთ ასეთივე სისრულით ავტორი ვერ გვიხატავს ნამდვილად მოწინავე, მებრძოლ ძალას—ბოლშევიკებს.

მარტო მომქმედ პირთა ჩამოთვლა დაგვარწმუნებს თუ რამდენად მდიდარია ტიპაჟით ქუთათელის წიგნი.

გლეხი გოჯასპირის, ბაბუა თედოს, ოტია მდივნის, ბაბოს, ჯაჯანა მენჯავიძის, მოჯამავირე ბიჭის აგოიას, იულო დურგლის პორტრეტები დახატული არიან შესანიშნავი სიცხოვლით და პლასტიურობით. სამწუხაროდ ასე რელიეფურად არ სჩანან ახალგაზრდა რევოლუციონერი გლეხები. მიუხედავად ამისა, მკითხველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მთელი წიგნი, რადგან მას გულის სიღრმემდე სწვდება ინტიმურად განცდილი სცენები და უპირველესად დაძაბული დრამატიული სიტუაციები. ასეთ სცენებს ეკუთვნიან ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცის გელაშვილის მისვლა ოჯახში მამასთან, ცოლშვილთან, მეზობლებთან მისი შეხვედრა, ჯარისკაცების შეჯახება და მათ მიერ მილიციის განიარაღება, შემდეგ ფრონტის გაშლა, აჯანყებულთა დამარცხება, დარბეული და შეშინებული გლეხობის დუმილი მიტინგზე, ქოხებში მიმალული ბავშვები და დედაკაცები, ბებერ მუხაზე ჩამოხრჩობილი დევკაცი გოჯასპირი—სურათები, რომელთაც გადაუჭარბებლად, მხატვრული ზომიერებით სრული რეალისტური სიმართლით აგვიწერს ავტორი, სურათები, რომელნიც აღაშფოთებენ და რაზმავენ მკითხველთა გონებას მშრომელი ხალხის ჯალათების წინააღმდეგ.

ოჯახური ყოფის და მეზობლური ურთიერთობის სცენები—ვახშამი გოჯასპირის ქოხში,—მასპინძლობა, —დაირით ცეკვა ოტიას ოჯახში, ქეიფი სამიკიტნოებში, მამა-პაპათა ურმით მგზავრობა, დავა და ჩხუბი ნალბანდ თავაძისა და დეკანოზ მაჭავარიანის შორის რეალისტური სიცხადით და კოლორიტით წარმოგვიდგენენ ზემო იმერეთის თავისებურებას და ცხადჰყოფენ რომ ავტორს აქვს არა მარტო მხატვრის მჭრელი თვალი, არამედ შესწევს უნარი, მხატვრული ხერხები, გამოსახვითი საშუალებანი, რომ ქაღალდზე გადაიტანოს ჩვეულებრივი თვალისთვის შეუმჩნეველი დეტალები და ნიუანსები გლეხური და აზნაურული ყოფისა.

ავტორი მკითხველის ყურადღებას იპყრობს დიალოგებით, რომელნიც დიდი ცოდნით და სიზუსტით არიან დამუშავებული. როცა თვალყურს ვადევნებთ ტერეზა მხეიძის და ჯაჯანა მანჯავიძის დავა-საუბარს, ჩვენ ვხედავთ მოლაპარაკეთა ჟესტებს, გვესმის კილო მათი ლაპარაკისა, ინტონაცია თვითეული მათი ფრაზისა, ვხედავთ, როგორ გადადის მშვიდობიანი ტონი გულისწყრომაში, ვგრძნობ თუ რა ღრმა ანტაგონიზმი, რა გადაულახავი შეურიგებლობა არსებობს ამ ერთმანეთთან შეზრდილი ორი ადამიანის—მოშინაურებული ნაყმევის და ქალბატონის ინტერესებს შორის.

ასევე, მანერული, გაპრანჭული ფრაზა პლატონ მოგველაძისა, რომლისადმი თავის ირონიულ დამოკიდებულებას ავტორი არ მალავს, სრული სიმკვეთრით ამხელს მის ბუნებას, ცხად ჰყოფს მის შინაგან სიყალბეს, ნიღაბოსნობას, ცრუსწავლულობას, უნიადაგობას, მის ერთად-ერთს მისწრაფებას იყოს ორიგინალური, გამორჩეული, სათაყვანებელი არსებითად მოგველიძესავით უნიადაგო და გამოუდეგარ მეჩხანთა წრეში.

დაკვირვებული მკითხველი ყოველთვის იგრძნობს, რომ პერსონაჟების ერთი კატეგორია ავტორის სოციალურ წრეს ეკუთვნის, იგრძნობს, რომ ავტორი მათ არა თუ პირისპირ იცნობს, არამედ ავტორს უცხოვრია მათი ცხოვრებით, იცის და ესმის მათი სულიერი მოძრაობის ყოველი ხვეული. ამიტომ გვიხატავს მათ ღრმა ინტიმობით, შინაგანი ხედვით. ამასთან ყოველ ავტორს ჰყავს ისეთი გმირებიც, რომელნიც სხვა კატეგორიას, სხვა ფენას ეკუთვნიან ვიდრე ეკუთვნის თვით ავტორი. ავტორი მათ დაჰკვირვებია, შეუსწავლია, იცნობს მათ, მაგრამ შორიდან, გარედან. ეს გმირები მოხვედრილან გარედან მაყურებელი მწერლის თვალის არეში. ისინი ავტორის კარგი ნაცნობი არიან, მაგრამ არა ისე ინტიმური და ახლობელნი, როგორც პირველნი. შიგნიდან და გარედან დანახული ასეთი გმირები ჰყავს ჩვენს ავტორსაც.

ალ. ქუთათელის მიერ ასეთი ინტიმობით ნაგრძნობი გმირია, სხვებს შორის კორნელი მხეიძე, რომლის მხატვრული მოცემა ავტორს დაკავშირებული აქვს თავის ნაწარმოების შინაგან თემასთან.

ქუთათელის ნაწარმოების მამოძრავებელი იდეა—ეს არის წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის, ნაციონალიზმის სრული კრახი, არა მარტო მასების, არამედ ინტელიგენციის ერთი ნაწილის შეგნებაში ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მენშევიკური ხელისუფლება დაემხობოდა. ავტორი ამ კრახს გვიჩვენებს იმ იდეურ - მორალური ევოლუციით, რომელსაც განიცდის რომანის ცენტრალური ფიგურა — თავადაზნაურული ინტელიგენციის წრიდან გამოსული და ამ წრის ინტელექტუალურ-ზნეობრივ ატმოსფეროში აღზრდილი ახალგაზრდა კაცი კორნელი მხეიძე.

მენშევიკური „რესპუბლიკის" საგარეო ფრონტზე მებრძოლი სტუდენტი—ჯარისკაცი კორნელი მხეიძე ხედავს, თუ რა მახინჯ და საზიზღარ სახეს ღებულობს იდეა ქართული ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივობისა, რომელიც მას ჩაუნერგეს და რომელიც ასაზრდოებდა მის ახალგაზრდულ რომანტიზმს. მაგრამ რომანტიული ოცნების განაღდების ნაცვლად მან ნახა გლეხთა გალატაკება, დარბევა, მეურნეობის სრული დაცემა, სპეკულიანტებისა და მედუქნეების თარეში, იმპერიალისტური სახელმწიფოების შეუზღუდველი ბატონობა საქართველოში, სიცივე, სიმშილი, ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის გადაგვარება, დეგრადაცია და სხვა. ყოველივე ამის მხილველი და განმცდელი ახალგაზრდა კორნელი ჰკარგავს რწმენას თავისი იდეალების ჭეშმარიტებაში. იგი გარბის იმ ჯარიდან, რომელსაც მენშევიკური მთავრობა იყენებს, როგორც ბრმა იარაღს, ქართველი მშრომელი გლეხობის დასარბევად და გასანადგურებლად.

ავტორის ეს ძირითადი იდეა — დაგვანახოს ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივობის, ქართული ნაციონალიზმის ისტორიული განწირულება მისდევს ყველა ეპიზოდს ნაწარმოებისას და ორგანიულად აკავშირებს მათ ერთი მეორესთან.

რა სიუჟეტურ ხერხს მიმართავს ავტორი ამ იდეური განზრახვის განსახორციელებლად? იგი დაატარებს თავის გმირს ყველგან, შეჰყავს იგი თავადთა და გლეხთა ოჯახებში, სოფლის ბაზრობაზე, მიტინგებზე, სამიკიტნო დუქნებში, საპატიმროებში, აწყობს მის შეხვედრას სხვადასხვა წრის ადამიანებთან და ბოლოს მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ ის სახელმწიფო, რომელიც ეყრდნობა თავად ოტია მდივნებს, მაყაშვილებს, ფუქსავატ ოფიცრებს —ყიფიანებს, მიკიტან მოსეშვილებს და პლატონ მოგველიძის მსგავს პოზიორ ინტელიგენტებს, ასეთი სახელმწიფო ისტორიულად განწირულია, რომ მას არ შესწევს არც მატერიალური და არც იდეურ-მორალური ძალა გაუმკლავდეს ბოლშევიკური პარტიის მიერ დარაზმული გლეხების—გელაშვილ-ტურიაშვილების შეტევას. ეს ეპიზოდები, ეს ყოფითი სურათები, რომელნიც ამხელენ ექსპლოატატორული კლასების იდეურ სიცალიერეს, გონებრივ სილატაკეს, მათ უკიდურეს ეგოიზმს, უნიათობასა და უდისციპლინობას საზოგადო საქმეებში,—ეს ეპიზოდები მონაწილეობას ღებულობენ მთავარი გმირის კორნელის ფსიხიკის ფორმაციაში, ძველი შეხედულებისაგან მის თანდათანობითს განიარაღებაში და ამით, რასაკვირველია, ასრულებენ გარკვეულ სიუჟეტურ დანიშნულებას.

ეს სურათები მოქმედებენ კორნელზე და სულ სხვა გზით წარმართავენ მის აზროვნებას. თვით კორნელი კი არ განირჩევა აქტიურობით. იგი პასიური მონაწილე, პასიური ამთვისებელია იმ ამბებისა, რომლებიც მის გარშემო ტრიალებს. იგი არავითარ გავლენას არ ახდენს ამ ამბების მსვლელობაზე. მთავარი გმირის ასეთი უმოქმედობა აძლევს ზოგიერთ კვალიფიციურ მკითხველს საფუძველს იმისათვის, რომ კორნელი არ ჩასთვალოს რომანის ცენტრალურ გმირად და საერთოდ უარყოს ერთი, ან რამდენიმე გმირის სათავგადასავლო მაგისტრალური ხაზის არსებობა რომანის მთელს მანძილზე. სცნობენ რა ეპიზოდების მაღალმხატვრულობას, ისინი ამბობენ, რომ მათ შორის არ არის შინაგანი კავშირი, რის გამოც რომანის სიუჟეტის მთლიანობა დარღვეულია. მე ვფიქრობ, რომ მათ ავიწყდებათ, ან ვერ ამჩნევენ ამ ეპიზოდების როლს, მათ მონაწილეობას მთავარი გმირის ფსიქიკის ორგანიზაციაში, მისი იდეურ-მორალურ გარდაქმნის პროცესში.

რა ნაკლიც არ უნდა ჰქონდეს ქუთათელის მეორე წიგნს, იგი მაინც არის მისი ავტორის შემოქმედებითი ზრდის და მორიგი გამარჯვების მაჩვენებელი.

სამმა პირობამ შეუწყო ხელი ქუთათელს, რომ იგი გამარჯვებული გამოსულიყო. პირველი პირობა ის არის, რომ ავტორს აქვს უტყუარი მხატვრის თვალი, მეორე—გარკვეული იდეა, სწორი თვალსაზრისი და მესამე—ზედმიწევნითი ცოდნა მასალისა. იდეისა და მასალის განუწყვეტელმა ურთიერთ ზემოქმედებამ იხსნა ავტორი ორი მოსალოდნელი მარცხისაგან. პირველი მარცხი ჩვენში ხშირად მოსდით იმ ავტორებს, რომელთაც აღეძვრით რაიმე იდეა, მაგრამ არ აქვთ ცხოვრების გამოცდილება, მასალის ცოდნა, რის გამოც მათი ნაწერი გამოდის გამოგონილი, უსიცოცხლო, სქემატიური. მეორე მარცხი ხვედრია იმ ავტორებისა, რომელთაც დაკვირვება და მასალა მოეპოებათ, მაგრამ არა აქვთ მასალა იდეურად გააზრებული, ერთი იდეით, ერთი თვალსაზრისით ორგანიზებული. ამის გამო მათი ხელიდან გამოდის ნაწარმოები უიდეო, აღწერილობითი, ნატურალისტური, ნაწარმოები, რომელიც მკითხველს არ აღელვებს და არ იტაცებს. ქუთათელს აღმოაჩნდა იდეისა და მასალის ურთიერთ ზემოქმედების საჭიროების შეგნება. გამოდიოდა რა კარგად ნაცნობ, ზედმიწევნით შესწავლილ მასალიდან და მასალის ურთიერთ ზემოქმედებებიდან ალ. ქუთათელმა მოგვცა ნაწარმოები, რომელსაც საბჭოთა მკითხველი დიდი ინტერესით წაიკითხავს.

შესანიშნავი სპექტაკლი

პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება" მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

გვირისტინე — ც. თაყაიშვილი

პოლიკარპე კაკაბაძის კომედია წარმოადგენს ნამდვილ, დასრულებულ და მხატვრულად ლიტერატურულ მშვენიერ ნაწარმოებს. იგი აგებულია არა მარტო შესანიშნავ მძაფრ და მახვილ დიალოგებზე, პერსონაჟთა დაუსრულებელ მოხდენილ და ხალისიან რეპლიკებზე, არამედ, რაც მთავარია, იგი ეყრდნობა დასაბუთებულ და ბოლომდე დამაჯერებელ მწვავე კომედიურ მდგომარეობებს, რთულ კომედიურ ხლართს, რომელიც ავტორის მიერ ოსტატურად იხსნება. ამიტომ კომედიას ხალხი თავიდან ბოლომდე ხალისით, სიამოვნებით და დაძაბული ყურადღებით ისმენს.

ავტორი ახერხებს — ერთი მხრივ დაგვიხატოს ჩვენ კოლმეურნეების ბედნიერი, აღორძინებული ცხოვრება. გვაჩვენოს ნამდვილი, რეალობიდან ამოღებული, გულწრფელი და უბრალო ადამიანები, რომლებიც ისე შეხარიან გადახალისებულ ცხოვრებას და მეორე მხრით მოხდენილად მოხაზოს აქა იქ დარჩენილი ძველი ჩვევები, ადათები, რომლებიც კერძო საკუთრების ზეგავლენიდან მომდინარეობენ, მოგვცეს ცოცხალი სურათები კოლმეურნეობაში შერჩენილ უსაქმურ დოყლაპია, მცონარეებისა, მკაფიო ფერებით გააცოცხლოს ძველ თავადაზნაურთა ნაშიერების ჩრდილები და სხვ.

კომედია ოსტატურად ასრულებს თავის დადებით მიზანდასახულობას: დაანახვოს მაყურებელს კოლმეურნეობის ადამიანის გარდამქნელი ძალა. პატიოსანი შრომის მეოხებით გამოიყვანოს ადამიანი გაჭირვებიდან და იგი მოწინავეთა რიგში ჩააყენოს, ან და ღარიბ და დაბეჩავებულ გლეხს გზა გაუხსნას შეძლებულ, დამოუკიდებელ ცხოვრებისაკენ, რაც მთავარია აამაღლოს მასში პირადი ღირსების შეგნების დონე და სხვ.

ამ მხრივ კომედია „კოლმეურნეს ქორწინება" ჩვენი დრამატურგიის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. კომედია მდიდარია ინტრიგით, გამომგონებლობით, მოქმედ პირთა შორის შექმნილ დისპოზიციებით, რაც ასე ახალისებს მოქმედებას, მაღლა სწევს სპექტაკლის ღირსებას და მხატვრულ დამაჯერებლობას.

კომედიის გამარჯვებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ იგი დაწერილია მდიდარი და ძარღვიანი ლიტერატურული ენით. ავტორი კარგად იცნობს თავის მასალას და ამიტომ ცოცხალ ტიპაჟს ქმნის. ჯამლეთი, ჯიბილო, ხახული, გვირისტინე და სხვა ცხოვრებიდან აღებული და არა ავტორის მიერ მოგონილი ტიპებია, ისინი ჩვენი სინამდვილით იკვებებიან, სავსებით რეალურნი და ხორცსხმულნი პერსონაჟები არიან.

რეალური და მოქმედია ოსტატურად გამოძერწილი სახე გვირისტინესი, რომელსაც საკოლმეურნეო ცხოვრება, პატიოსანი შრომა, სტახანოვური მეთოდები მუშაობისა მორცხვ ქალიშვილიდან მოწინავე, ორდენოსან, საპატიო ადამიანად ჰხდის. ჰყვავიან სამწუხაროდ კიდევ კოლმეურნეობათა ისეთი ხელმძღვანელები, როგორიც ხარიტონია, რომელსაც ცოცხალი, კონკრეტული ხელმძღვანელობისა (კოტა რამ გაეგება, რომელსაც ჰგონია, რომ კოლმეურნეობას თვითდინებით, თავისთავად შეუძლია განვითარება და რომელიც საქმიან, ბეჯით მუშაობას გარეგნული ფაცაფუცით, ხმაურით სცვლის. ასეთი სასაცილო და ბედოვლათი მუშაკები სამწუხაროდ კიდევ არიან. მათი გამათრახება, გაკიცხვა, სასაცილოდ აღება კომედიის საპატიო საქმედ უნდა ჩაითვალოს. აღარაფერს ვიტყვით ისეთ კარდაკარ მოხეტიალე, ქარაფშუტა, სხვის შემყურე ტიპზე, როგორიც არის ძველი საზოგადოების ნალექი — მანუჩარი, შურიანი, ენაჭარტალა კაკალა და სხვ., რომლებიც ავტორს ნამდვილი შემოქმედის შთაგონებით აქვს გაცოცხლებული. ყველა ეს პირები ჩვენი მდიდარი, შინაარსიანი სინამდვილის სხვადასხვა კუთხიდან ამოღებული სახეებია.

მთავარი ღირსება კომედიისა ის არის, რომ იგი ხალისიან, გულწრფელ, ბუნებრივ სიცილთან ერთად, მაყურებელს უსათუოდ დააფიქრებს, მთელ მის ენერგიას ჩვენს დიად ცხოვრებაში დანახულ ცალკეულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისაკენ წარმართავს.

კომედია „კოლმეურნის ქორწინება" იმდენად მაღლა დგას მხატვრულად, თავისი ოსტატობით, რომ გადალახავს სეზონურ ზღვარს და ჩვენს რეპერტუარს დიდხანს დაამშვენებს.

სპექტაკლის გამარჯვებაა ისიც, რომ მაყურებელს არ უნდა მალე დასრულდეს იგი, დაეშვას ფარდა.

ხალისიანი სპექტაკლის შექმნას ხელს უწყობს აგრეთვე შემსრულებელთა კარგი კოლექტივი. ძნელია რომელიმე მათგანზე გამოყოფით ლაპარაკი, იმდენად მოხდენილია ყოველი მათგანის მიერ შექმნილი ტიპაჟი. მაგრამ არ შეიძლება მაინც პირველ ადგილზე არ იქნეს წამოწეული ნიჭიერი მსახიობი **ს. თაყაიშვილი,** რომელიც გვირისტინეს როლს ასრულებს. მსახიობი მას მართლაც რომ შესანიშნავად ანხორციელებს. შეუდარებელია იგი მეორე მოქმედებაში, სცენაში, სადაც მოსკოვიდან დაბრუნებული უყვება თავის მეზობლებს ბელადთან შეხვედრას, რა ნახა იქ და რა განიცადა. რამდენი გულწრფელობა, სითბო, უბრალოება, ადამიანობაა ყოველ მის სიტყვაში, რა მიმზიდველ, საყვარელ სახეს ჰქმნის მსახიობი. ეს მონოლოგი იშვიათი ხელოვნებით არის შესრულებული.

ასეთივე შესანიშნავია **გ. შავგულიძე** კოლმეურნეობის თავმჯდომარის ხარიტონის როლში. ყოველი მისი მიხვრა-მოხვრა, გავლა, სიტყვა ოსტატურად არის გაკეთებული. იგი ბრიყვი, მქლესავი, ზერელე „ხელმძღვანელის" წარუშლელ პორტრეტს ქმნის.

კ. სვანიძეს — ჯამლეთის — (ხიდობანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე) ბეჯითი, კარგი მუშაკის როლის შემსრულებელს მხოლოდ ერთს შევნიშნავთ. იგი მეტის მეტად ბრაზობს, როცა გაიგებს, რომ მისი კოლმეურნეობის საუკეთესო მუშაკი, ორდენოსანი გვირისტინე თითქოს მეორე კოლმეურნეობის წევრს ჯიბილოს მიჰყვება ცოლად. რა თქმა უნდა მას, როგორც ნამდვილ ადამიანს, ეწყინება საუკეთესო მუშაკის კოლმეურნეობიდან მეორე კოლმეურნეობაში გადასვლა, მაგრამ გაბრაზებით კი არ გაბრაზდება, მით უმეტეს რომ ჯამლეთი შეგნებული, საუკეთესო ხელმძღვანელია.

მოხდენილი არიან **შ. ჯაფარიძე,** ყოფილი აზნაურის მანუჩარის როლში და **ს. ზაქარიაძე** მანუჩარის ვაჟის ჯიბილოს როლში. ორივე მსახიობი კარგად დაუფლებიან მასალას და მისგან დამამახსოვრებელ, ცხოველ სახეებს ქმნიან. აღსანიშნავია აგრეთვე კაკალას როლში მსახიობი **ჩარკვიანი.**

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს **კ. კვანტალიანი** გლეხის ხახულის როლში. მსახიობს ზედმიწევნით აქვს შესწავლილი ტიპი გლეხისა, რომელიც წარსულში სიღარიბის მძიმე უღელს ატარებდა და ახლა კი როგორც კოლმეურნეობის წევრი წელში გამართულა, შეძლებულ ცხოვრებას მორალურადაც მაღლა აუყვანია. მსახიობს ყოველ სიტყვაში კი არა, უბრალო გავლაშიაც კი დიდი აზრი აქვს ჩართული; ეს არის ხახულისაგან პირადი ღირსების შეგნება, თავის ნაბატონარის წინაშე ირონიული თავისი უპირატესობის შეგნება, რასაც კ. კვანტალიანი გვაგრძნობინებს ყოველი უბრალო ჟესტითაც კი. მსახიობის თამაში მაყურებელში დაუსრულებელ, სამართლიან და დამსახურებულ ტაშს იწვევს.

ხახული — კ. კვანტალიანი

ხაზგასასმელი არიან ეპიზოდურ როლებში **ა. დონჟანელი,** რომლის ირინე მდიდარია გულწრფელობითა და უბრალოებით, **ი. ქორქაშვილი** (შატო), **ლ. შატბერაშვილი** (მიტო), **ჭ. ბეგალიშვილი** (ვატა) და სხვ.

საუცხოვოა ლომქაცას როლში ნიჭიერი მსახიობი **გ. კოსტავა,** რომელსაც მრავალ ღირსებასთან ერთად მშვენიერი დიქციაც ახასიათებს. ყოველი მისი სიტყვა მაყურებლამდე მიდის ცოცხლად, სრულად.

ამ მშვენიერი სპექტაკლის ავტორია რესპ. დამსახ. არტისტი **შალვა ლამბაშიძე.**

მხატვარი კ. სანაძე გამოირჩევა, როგორც ციტრუსოვანთა პეიზაჟების ერთერთი საუკეთესო შემსრულებელი. სპექტაკლის გამარჯვებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მისი გაფორმება, რომელიც ასე ახარებს თვალს.

ვფიქრობ შეიძლებოდა სპექტაკლის უფრო მდიდარი მუსიკალური ინტერპრეტაცია, ვიდრე ეს მოცემულია კომპოზიტორ გ. კოკელაძის მიერ. საკოლმეურნეო ცხოვრებამ მრავალი ახალი ხალხური სიმღერა შექმნა. ამ მასალაზე შეიძლებოდა სპექტაკლის მუსიკალური გაფორმების გაძლიერება.

შ. აფხაიძე

I. მოქმედების მეორე სურათი.

მანუჩარ — შ. ლამბაშიძე, გვირისტინე ც. თაყაიშვილი, ხახული—კ. კვანტალიანი

ბიბლიოგრაფია

შიო მღვიმელი — „სიმღერები"

შეკრებილი ი. გრიშაშვილის მიერ. გამოც „ფედერაციის"

შიო მღვიმელს ჩვენი მკითხველი საზოგადოებრივობა დღემდე იცნობდა უმთავრესად როგორც საბავშვო ლექსების ავტორს, საბავშო მწერალს, რომელიც თავისი წკრიალა ლექსებით ჰუმანიურ გრძნობებს უნერგავდა და თავს ევლებოდა ნორჩ თაობას: მაგრამ შ. მღვიმელის შემოქმედება არ არის შემოზღუდული მხოლოდ საბავშვო თემატიკით. მან როგორც სამართლიანად აღნიშნავს პოეტი ი. გრიშაშვილი სარეცენზიო წიგნის წინათქმაში, „თავისი ხარკი მოიხადა მებრძოლი პოეზიის წინაშეც". ეს ხაზი დღემდე თითქმის შეუმჩნეველი იყო შ. მღვიმელის შემოქმედებაში. ი. გრიშაშვილმა უდაოდ სასარგებლო საქმე გააკეთა შიოს ამ ლექსების შეკრებითა და გამოცემით.

საბავშვო ლექსებში შიო მღვიმელი არის ჰუმანისტი, კეთილის მოსარჩლე და ბოროტის შეურიგებელი მტერი. ბავშვებს იგი ასწავლის ბოროტებისადმი სიძულვილს და სიყვარულს კეთილისადმი. თავისთავად ეს გარემოება შიოს საბავშვო ლექსს მებრძოლ ხასიათს აძლევდა, მიუხედავად იმისა, რომ იქ არ იყო მოწოდება ბრძოლისაკენ, ბოროტების წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებისაკენ. ეს თითქოს საბაბს აძლევდა ზოგიერთს გამოეტანა დასკვნა, რომ შიო „უწყინარი ბულბული" იყო, რაც მისი პოეზიის შესწავლის ზერელობით უნდა აიხსნას.

მაგრამ შიო, როგორც მებრძოლი და მკვეთრი ჰუმანისტი, ჩვენს წინაშე გაცოცხლებულია განსაკუთრებით მისი სარეცენზიო ლექსებით. აქ ჩვენ ვხედავთ დაჩაგრული ხალხის მოსარჩლე შიოს, რომელიც უმღერს გმირობასა და ვაჟკაცობას. შიო იყო დიდი მოსიყვარულე თავის სამშობლოსი, მას აწუხებდა მისი ყოფა და ბედი თვითმპყრობელობის ბატონობის პირობებში. ლექსში „მებრძოლისაგან" შიო გამოხატავს სამშობლოსათვის მზადყოფნისა და თავდადების განწყობილებას. უფრო მკვეთრად ეს განწყობილება მოცემულია ლექსებში „სიმღერა მეომრისა", „სიმღერა", „გინახავთ პიტალო კლდეზე", „ვაჟკაცს", „მუხა" და სხვ.

სარეცენზიო წიგნში მოთავსებული ლექსების უმრავლესობა ნაციონალურ - განმანთავისუფლებელ მოძრაობის თემაზეა დაწერილი. შიო ამ ლექსებში იცავს და ანვითარებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ - განმათავისუფლებელ-მწერალთა იდეურ ტრადიციებს. ლექსებში არის სევდაც, რომელიც გამოწვეულია სამშობლოსა და ხალხის ჩაგვრით, მაგრამ მას სწამს რომ „ნათელი მოეფინება, რაც მოცულია ბნელითა". ეს რწმენა ძლიერია და იგი აძლევს ძალას მთელს მის შემოქმედებას. ლექსში „მუხთალ სოფელს" შიო ამბობს:

„კუბოს რომ ვიწვე უძლური,
მელოდეს დამიწებაო,
მაინც შევძახებ ქვეყანას:
დაიცა, გათენდებაო!"

შიოს იდეურ რწმენის სიმტკიცესა და სიმხნევეს აძლევს იმის ღრმა შეგნება, რომ სამშობლოს

„კიდევა ჰყვანან ვაჟკაცნი,
ძუძუთ ნაზარდი შვილები,
გულჯაგრიანი მებრძოლნი,
უფრო გულაჲი გმირები.
ქედს არ იხრიან არვის წინ,
ყველას გულდაგულ ხვდებიან,
უსამართლობის ბორკილებს
ამსხვრევენ, ემსხვერპლებიან".

დიდი ჰუმანიური განცდით არის დაწერილი „ნატვრა". აქ პოეტი მთელი თავისი არსებით ესარჩლება ბედ-შავს, დავრდომილს და მზად არის გაიზიაროს ყველას დარდი და ვარამი. მას აწუხებს დაჩაგრულის ბედი და ნატრობს:

„ნეტავი ვიყო ცვარ-ნამი,
ვარდზე დაყრილი დილისა,
წამლად სახმარი, მკურნალი
ბედ-შავის, დავრდომილისა;
ნეტავი ვიყო ოცნება
უმანკო სიყვარულისა,
ყველგან მავალი ვით სხივი
მთვარისა გაბადრულისა, —
რომ შემოვევლო ქვეყანას,
მთა-ბარი შემოვიარო,
ყველას დარდი და ვარამი
შუაზე გავიზიარო".

საერთოდ შიო მღვიმელის სარეცენზიო ლექსები მეტად საინტერესოა თავისი იდეური განწყობილებით, მებრძოლი ხასიათით, მხატვრული სისადავით და დიდათ გვეხმარება შიოს პოეზიის შინაარსისა და ხასიათის უკეთესად გაგებასა და დაფასებაში.

წიგნს დართული აქვს ი. გრიშაშვილის წინათქმა და შენიშვნები.

ე. ასტვაცატუროვი

ვ. მაიაკოვსკის სამშობლო სოფელში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

სოფელ ბაღდათში, ხანისწყლის ნაპირას წამოდგმულ პატარა ოდაში 1893 წელს დაიბადა ჩვენი საბჭოთა ეპოქის უდიდესი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი. მამა მისი ბაღდადის სატყეოს უფროსად მსახურობდა. მაიაკოვსკიმ თავისი ბავშვობა ამ სოფელში გაატარა, პირველი მისი მოგონებები ამ მიდამოებთან არის დაკავშირებული. თავის ავტობიოგრაფიულ წერილში მაიაკოვსკი აგვიწერს იმ ოდას და იმ გარემოს, რომელშიაც დაიბადა და აღიზარდა იგი. ეს ადგილი წერილში პოეტს დასათაურებული აქვს „რომანტიზმის ფესვებად". ეს ბავშვობის მოგონებები პოეტისა მართლაც რომანტიულ ფერადებით ისახება მკითხველის წინაშე. „პირველი სახლი, რომელსაც გარკვევით ვიგონებ, ორი სართული. ჩვენ ზედა გვეკუთვნოდა. ქვედაში მარანი იყო. წელიწადში ერთხელ-ყურძნით სავსე ურმები. წურავდნენ. მე ვჭამდი. ისინი სვამდნენ. ყოველივე ეს უძველესი ქართული ციხის ტერიტორიაა ბაღდათთან. ციხეს ოთხკუთხად დაზვინული მიწა აქვს შემოვლებული. კუთხეებში ზარბაზნების უკუსაგორებელი ადგილებია. ზვინულებში სათოფურებია. ზვინულებს იქით— თხრილები. თხრილებს იქით—ტყეები და ტურები. ტყეებს მთები დაჰყურებენ. წამოვიზარდე. ავრბოდი ყველაზე უფრო მაღალზე. მთები ჩრდილოეთისკენ დაბლდებიან. ჩრდილოეთით წყვეტილია. ოცნებაში იქ რუსეთი მეხატებოდა. წარმოუდგენლად მიმიწევდა იქითკენ გული"...

მაიაკოვსკის შეუსრულდა ბავშობის ოცნება. იგი ჯერ კიდევ ჭაბუკობის ჟამს ეწვია თავის დიდ სამშობლო რუსეთს, რომ შემდგომში, პოეტური მომწიფების ხანს იგი გამხდარიყო ოქტომბრის რევოლუციის უდიდეს პოეტად და მომღერლად. მაგრამ არასოდეს, მთელი თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე, თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მაღალ პოეტური შემოქმედების განმავლობაში მას არ დავიწყნია თავისი ბავშვობის პირველი რომანტიული შთაბეჭდილებები. მაიაკოვსკის მუდამ ახსოვდა თავისი პატარა სამშობლო სოფელი ბაღდადი, პატარა იმერული ოდა, სადაც დაიბადა, სადაც გაატარა ბავშვობის პირველი წლები... მას უნდოდა როგორმე შემოქმედებაში აესახა და პოეტური სიტყვებით გამოეხატა დაუვიწყარი სიყრმის დღეები და ოცნება.

В долгу я у Вас,
Багдадские небеса...

სწერდა იგი ერთ თავის ლექსში. მაგრამ პოეტს არ აუსრულდა თავისი ნანატრი განზრახვა. იგი ისე დაიღუპა, რომ ვერ შესძლო ლექსებით დაბრუნებოდა თავის რომანტიზმის ფესვებს. რომანტიულობით და მაიაკოვსკის მოგონებებით სუნთქავს დღეს ბაღდათის მიდამოები, განსაკუთრებით ის ადგილები, სადაც დაირწა პოეტის აკვანი. მაიაკოვსკის სახლი დღესაც იმ სახით არის დარჩენილი, როგორც მაშინ, როცა სატყეოს უფროსი ცხოვრობდა შიგ. პატარა აივანი, ორი ოთახი: წინ მეტყევეს კანტორა, უკან საძინებელი, გვერდით დიდი დარბაზი, სადაც სტუმრებს იღებდა ოჯახი, სადაც იხდიდა მოხუცი მეტყევე დღეობებს და თავის პატარა ვალოდიას ათქმევინებდა ლექსებს...

ამ სახლში მწერალთა კავშირს განზრახული აქვს გახსნას მაიაკოვსკის სახელობის მუზეუმი. ამისთვის საჭიროა განთავისუფლდეს იგი ეხლანდელი ბინადრებისაგან, საჭიროა რესტავრირებული იქნეს საკმაოდ მოძველებული სახლი, მოწყობილ იქნეს იგი შიგნით იმ სახით, როგორც იყო მაიაკოვსკის ბავშვობის დროს...

საქართველოს საბჭოთა მწერლების პრეზიდიუმმა სპეციალური კომისია გამოჰყო (ამხ. ამხ. ალიო მაშაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, გიორგი ლეონიძისა და ვიქტორ გოლცევის შემადგენლობით), რომელსაც დაევალა წინასწარ შეისწავლოს ეს საკითხი და გამოიმუშაოს ღონისძიებანი მაიაკოვსკის სახლის რესტავრირებისა და პოეტის სახელობის მუზეუმის გახსნის შესახებ.

კომისია მთელი შემადგენლობით გაემგზავრა ბაღდადში ამა წლის 18 ნოემბერს. დაათვალიერა სახლი, ადგილობრივ შეისწავლა საკითხი და პირველი სხდომა ჩაატარა პარტიის ბაღდადის რაიონულ კომიტეტთან ერთად. ამრიგად: სახლი, სადაც დაიბადა ჩვენი ეპოქის უდიდესი პოეტი ვლადიმერ ვლადიმერის-ძე მაიაკოვსკი—რესტავრირებული იქნება, შიგ გაიხსნება საქართველოს მწერალთა მუზეუმის ფილიალი, რომელიც თავის ექსპონატებში ასახავს დიდი პოეტის ბიოგრაფიას და შემოქმედებას.

ეს სახლი ერთი ძეგლთაგანი იქნება მაიაკოვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი. იგი მიიზიდავს ათასობით მშრომელებს, რომლებიც ღრმად პატივს სცემენ ოქტომბრის რევოლუციის უდიდესი მომღერლის შემოქმედებას.

სულეიმან სტალსკი

ერთი წლის წინათ — 1937 წ. 23 ნოემბერს გარდაიცვალა სულეიმან სტალსკი. მისი სახით საბჭოთა პოეზიამ დაკარგა დიდი შემოქმედი. მისი ლექსები და სიმღერები მახლობელი და საყვარელია მთელი ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხებისათვის.

სულეიმან სტალსკი გამოსული იყო უღარიბესი ოჯახიდან. იგი დაიბადა ბოსელში და პირველ დღიდანვე გამოსცადა ძველი ცხოვრების სუსხი.

სულეიმან რომ წამოიზარდა, წავიდა აულიდან ბედის საძებნელად. იგი მოჯამაგირეობდა დარუბანდში, ორი წელიწადი იმუშავა პლანტაციებზე განჯაში, აშენებდა ხიდს სირდარიაზე, მსახურობდა შავ მუშად სამარყანდის დეპოში და ნავთის სარეწაოებზე ბაქოში.

სულეიმან 30 წლისა იყო, როდესაც დაბრუნდა თავის სოფელში — აშაღა-სტალში. მას განვლილი ჰქონდა გრძელი გზა, მაგრამ ყოველთვის უხდებოდა ცხოვრების თავიდან დაწყება. „მე გავიგე, რომ ყველგან ერთნაირად ძნელია ცხოვრება მუშაკაცისათვის, რომ ღარიბი ადამიანები სირ-დარიაზეც და აშაღა-სტალშიც ერთნაირად უბედურნი არიან..."

ახალგაზრდობაშივე იწყებს სულეიმან სტალსკი ლექსებისა და სიმღერების თხზვას. იგი მღერის მშრომელთა მძიმე, საშინელი ცხოვრების პირობების შესახებ თვითმპყრობელურ-ბურჟუაზიულ - კაპიტალისტურ ურთიერთობის პირობებში.

სულეიმან სტალსკი სახალხო მომღერალი — აშუღი გახდა. ღარიბთა მოწონება მისი ერთად-ერთი ჯილდო იყო. მან ვერც კი შეამჩნია, როგორ დაიწყეს აულში მისი სიმღერების მღერა. და ერთხელ, დარუბანდში, ქარვასლაში, სადაც ღამეს ათევდნენ მისნაირივე ღარიბები, აულებიდან სამუშაოს საძებნელად წამოსულნი, სულეიმანმა გაიგონა სიმღერა. მან ყური დაუგდო: ვიღაც ლეკი მის სიმღერებს მღეროდა. „ჩემს სიცოცხლეში პირველად განვიცადე ასეთი სიხარული. ეს იყო ჯილდო. მე მივხვდი: ხალხი სცნობს და მას უყვარს ის, რასაც მე ვქმნი".

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა სულეიმან სტალსკი ბედნიერი. ხალხმა დააფასა მისი ნიჭი, მისი შემოქმედება, დიდმა პროლეტარულმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ მას უწოდა „20 საუკუნის ჰომეროსი".

საბჭოთა მთავრობამ სულეიმან სტალსკი დააჯილდოვა **ლენინის** ორდენით.

დაღესტანის მშრომელმა ხალხმა სულეიმან სტალსკის უდიდესი ნდობა გამოუცხადა და იგი წამოაყენა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. სამწუხაროდ სულეიმანი ვერ მოესწრო 1937 წ. 12 დეკემბრის სადღესასწაულო დღეს, იგი ადრე გარდაიცვალა.

სულეიმან სტალსკი იყო გენიალური აშუღი. მის მიერ ნამღერ თითეულ სტრიქონში, თქვენ გრძნობთ არა მარტო დიდ ნიჭს, არამედ დიდ სიყვარულსაც ჩვენი ეპოქისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი, დიადი **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი. „მომღერალმა უნდა გადასცეს თავის ხალხს საუკეთესო, რაც არის მასში, საუკეთესო რაც არის მოწინავე ადამიანებში"-ო, — ამბობდა ხშირად სულეიმან სტალსკი. იგი თვით იყო ამ სიტყვების ერთგული ამსრულებელი.

სულეიმან სტალსკი გახდა ჩვენი ეპოქის საუკეთესო გამომხატველი. იგი უჩვეულო აღფრთოვანებით და სიხარულით უმღეროდა სოციალისტურ ქვეყანას, სტალინურ კონსტიტუციას, წითელ არმიას, სოციალისტური შრომის გმირებს და სხვ.

სულეიმან სტალსკის ლექსები დიდი **სტალინის** შესახებ, ეკუთვნის უნიჭიერეს ლირიკულ ნაწარმოებთა რიცხვს, რომლებიც მიძღვნილია ბელადისადმი. სულეიმანს კარგად ახსოვდა, თუ როგორ ჩამოვიდა 1920 წელს თემიხან-შურში (ეხლა ბუინაკსკში) ამხანაგი **სტალინი** იმისთვის, რომ გამოეცხადებინა დაღესტნის ავტონომია. საუცხოვო პოემაში „[illegible]" მოგვითხრობს იმ [illegible] შესახებ, რომლითაც შეხვდა მშრომელი ხალხი დიდი **სტალინის** ჩასვლას დაღესტანში:



„იმ დღეს მოვიდა: ჩამოგვხსნა თალხი
მან, ვინც არის წინსვლის მძლე ჩარხი,
ვინც გამოაწრთო მშობელი ხალხი,
ვინც მოგვაშორა დარდი და ჯავრი,
ვისი გმირობა ქმნის მამაცობას,
პატიოსნება — მხნე ვაჟკაცობას
და სიბრძნე — ნამდვილ ბრძნულ საქმის
ცნობას.
ვინც ნათელ დღეთა ნექტარი არი!"

სულეიმან სტალსკიმ ჩვენს ბრწყინვალე ეპოქას დაუტოვა სიცოცხლის, სიყვარულისა და ბრძოლის ხმებით აღსავსე ლექსები და სიმღერები. ეს ლექსები და სიმღერები უყვარს ბედნიერ საბჭოთა ხალხს.

ს. ნათელაძე

შილერის დევნა ფაშისტურ გერმანიაში

ანტიფაშისტური გაზეთი „დოიჩე ფოლკსცაიტუნგი" აქვეყნებს ვრცელ წერილს „მესამე იმპერიაში" შილერის დევნის შესახებ. როგორც ირკვევა, შილერის „სპექტაკლებზე „დონ კარლოსზე" და „ვილჰელმ ტელზე" მომხდარი დემონსტრაციების გამო ფაშისტურ წრეებში შეიქმნა დიდი მითქმა-მოთქმა და შიში. ფაშისტური ჟურნალები აშკარად გამოდიან შილერის „ვილჰელმ ტელის" წინააღმდეგ და მოითხოვენ ამ პიესის მოხსნას გერმანიის თეატრების რეპერტუარიდან.

შილერის დრამები „მესამე იმპერიის" სცენაზე უკვე იშვიათად იდგმება. ჰებელსმა ამასწინათ განაცხადა, რომ რეპერტუარში კლასიკური დრამა არ უნდა სჭარბობდეს. ამ აზრს მაშინვე ხელი ჩასჭიდეს მისმა დამქაშებმა და დაიწყო ლაშქრობა გერმანული ლიტერატურის კლასიკური მემკვიდრეობის წინააღმდეგ.

ვიღაც მეტცინმა გამოაქვეყნა პანფლეტი „შილერი, როგორც პოლიტიკოსი", რომელშიაც იგი შილერის ბრძოლას დესპოტიზმის წინააღმდეგ ხალხის პოლიტიკურ თავისუფლებისათვის, აზრის თავისუფლებისათვის უწოდებს „უტოპიზმს".

ასეთივე აზრს გამოსთქვამენ შილერის შემოქმედების შესახებ ფაშისტური გერმანიის სხვა კრიტიკოსები და დრამატურგები.

თავდასხმა შილერზე და საერთოდ გერმანულ კლასიკურ მემკვიდრეობაზე შემთხვევითი არ არის. ფაშისტების მიერ ტარდება სისტემატური კამპანია შილერის თავისუფლებისმოყვარულ იდეების წინააღმდეგ, რადგან ამ იდეებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვეს ახალგაზრდობის ფართო მასებში.

ახალგაზრდობა გაიტაცა შილერის თხზულებებმა, რომელზედაც მათ შორის დიდი მოთხოვნილებაა.

შილერისადმი ასეთს ინტერესს ფაშისტები გაშმაგებული და გაბოროტებული უპასუხებენ. შილერი ამხედრებს ხალხს „მესამე იმპერიის" წინააღმდეგ, იგი უნდა მოისპობილ იქნესო, — ღაღადებენ ფაშისტი კრიტიკოსები.

და აი გერმანული ლიტერატურის კიდევ ერთი კლასიკოსი გაიდევნება „მესამე იმპერიიდან".

ჟურნალი „ჩვენი თაობა"

№ 10

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ჟურნალი „ჩვენი თაობის" № 10. ჟურნალში მოთავსებულია ანდრო თევზაძის „მოგზაურის სიმღერები", იოსებ ნონეშვილის" მოგონება ნაცნობ ხეივანში", ვლ. სულაბერიძის „შეხვედრა კომკავშირთან", ალეკო შენგელიას „შორეულ აღმოსავლური". ფრანსუა რენე შატობრიანის „რენე" (თარგმანი ფრანგულიდან ირ. კავჟარაძისა), გაბრ. ჯაბუშანურის „არხვატელი შევარდენი", დიმიტრი ბენაშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილი".

„დონ-კიხოტის" ახალი გამოცემა

საბავშვო ლიტგამომცემლობამ გამოსცა ესპანეთის ცნობილი მწერლის სერვანტესის რომანი „დონ-კიხოტი". წიგნი თარგმნილია ნიკ. ავალიშვილის მიერ. წიგნი ღირს 7 მანეთი.

საბჭოთა ახალგაზრდობა ქართულ პროზაში

23 ნოემბერს ამხ. **ვ. წულუკიძემ** მკითხველთა და მწერალთა წრეში წაიკითხა მოხსენება თემაზე: „საბჭოთა ახალგაზრდობა ქართულ პროზაში". მომხსენებელი წინააღუდგა იმ გავრცელებულ აზრს, თითქოს ქართული საბჭოთა მწერლობა გვერდს უხვევდეს ახალგაზრდობის მხატვრული ასახვის ამოცანას. მოხსენებიდან ცხადი გახდა, რომ ამ თემის მხატვრული დამუშავება, ქართული საბჭოთა მწერლობის აქტივის ერთერთ ძირითად და მთავარ საქმეს წარმოადგენს.

ს. კლდიაშვილმა, რ. გვეტაძემ, ა. ქუთათელმა, ე. პოლუმორდვინოვმა და სხვებმა, რომლებმაც ასახეს სამოქალაქო ომების პერიოდი, გვიჩვენეს ლენინ-სტალინის იდეებზე აღზრდილი ახალგაზრდების როლი და მონაწილეობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის წარმოებულ დიად ბრძოლაში.

კონსტ. ლორთქიფანიძემ, კონსტ. გამსახურდიამ, ლეო ქიაჩელმა, პანტ. ჩხიკვაძემ, ელ. პოლუმორდვინოვმა, სოლ. თავაძემ, ალ. ჭეიშვილმა, აკ. ბელიაშვილმა, რომლებმაც დაგვიხატეს კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციისთვის მებრძოლი ქართველი მშრომელი ხალხი, მოგვცეს (ზოგმა მეტი, ზოგმა ნაკლები მხატვრული დამაჯერებლობითი) ჩვენი ეპოქის ახალგაზრდა ადამიანი, სოციალიზმის ენტუზიასტი მშენებელი.

მაგრამ ხედავს რა ჩვენი ცხოვრების ძირითად ტენდენციას,—ახალგაზრდა ვმირების წარმოშობას და წინწამოწევას წინათ ჩაგრული სოციალური ფენებიდან, ზოგი ჩვენი მწერალი ვერ ახერხებს გარდატეხოს ეს პროცესი ცალკეულ გმირთა მრავალფეროვან რთულ ბიოგრაფიაში, მიდის ნაკლები წინააღმდეგობის გზით, მისდევს ერთხელვე გამომუშავებულ სტანდარტულ ბიოგრაფიულ სქემას.

ამით აიხსნება, რომ ახალგაზრდა გმირთა სახეები დიდხანს არ რჩებიან მკითხველის მეხსიერებაში; ამიტომ იქმნება შთაბეჭდილება, ხოლო შემდეგ აზრიც, რომ ქართველი საბჭოთა მწერლები გვერდს უხვევენ ახალგაზრდა ადამიანის ჩვენებას.

ეხება რა ქართული პროზის სხვა სუსტ მხარეებს ამ სფეროში, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დღემდე ქართულმა პროზამ ვერ შესძლო ეჩვენებია მკითხველისათვის კომკავშირი, როგორც ორგანიზაცია, როგორც სოციალისტური ინტელიგენციის დიადი სკოლა, რომელმაც აღზარდა ახალგაზრდა ვაჟები და ქალები, აღჭურვა რა ისინი ნათელი მიზნით და ხასიათის სიმტკიცით. სკოლა, რომელიც ზრდის ახალგაზრდობას მარქსიზმ - ლენინიზმის დიად იდეებზე, სოციალისტური ჰუმანიზმის იდეებზე, მსჭვალავს რა მათ სამშობლოსათვის და მუშათა კლასის საქმისათვის თავდადების სულისკვეთებით. ჩერდება რა უკანასკნელად დაწერილ ქართულ პროზაულ ნაწარმოებზე, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ უკვე სჩანს ნიშნები იმისა, რომ ქართული პროზა თავს დააღწევს ამ სისუსტეს, შექმნის ახალგაზრდობის ისეთ ცოცხალ და მიმზიდველ სახეებს, რომელნიც მისაბაძი გახდებიან მკითხველებისათვის.

„საქართველოს ახალგაზრდა პოეტები"

რუსეთის მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობამ კომკავშირის ოცი წლის თავთან დაკავშირებით გამოსცა კრებული, რომელშიაც მოთავსებულია ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, ალექსანდრე გომიაშვილის და გიორგი კაჭახიძის ლექსები. კრებულში მოთავსებულია თითეული ავტორის 10-15 ლექსი ლექსების თარგმანები ქართულიდან რუსულ ენაზე შესრულებულია ბრიკის, დოლმატოვსკის, ლიპსკეროვის, პასტერნაკის, სერებრიაკოვის და ტიხონოვის მიერ.

წიგნი ლამაზად არის გამოცემული, შეიცავს 165 გვერდს და ღირს 3 მან. 50 კა

მკითხველთა კონფერენცია ტოლსტოის „პურის" გარშემო

ა. ჯაფარიძის სახ. ბიბლიოთეკა დეკემბერში აწყობს მხატვრულ წიგნის მკითხველთა კონფერენციას, გარჩეული იქნება ალ. ტოლსტოის რომანი „პური".

ბიბლიოთეკა საამისოდ ატარებს წინასწარ სამზადისს: მოწყობილია რომანის სიუჟეტის მიხედვით სათანადო ლიტერატურის გამოფენა, გამოდის ბეჭდური ბიბლიოგრაფია, რომელშიაც დასახელებულია ლენინისა და სტალინის შრომები ცარიცინის დაცვის შესახებ, მასალები და შრომები ალ. ტოლსტოის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, რეცენზიები რომან „პურზე" და სხვ.

ცალკე ბროშურად გამოდის მწერლის ბიოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე.

ლექცია - საუბრები ამ რომანის გარშემო ჩატარდება 30 ნოემბერსა და 6 დეკემბერს ბიბლიოთეკის შენობაში. 12 დეკემბერს შესდგება მკითხველთა კონფერენცია.

ხელისმომწერთა საყურადღებოთ
1939 წლის 1 იანვრიდან გაზეთი
„ლიტერატურული საქართველო" გამოვა ყოველ
ექვს დღეში ერთხელ
გაზეთზე ხელისმოწერის პირობები:
12 თვით — 18 მანეთი
3 თვით — 3 მანეთი
6 თვით — 9 მანეთი
1 თვით — 1—50 კაპ.
ცალკე ნომერი ეღირება 30 კაპ.
ხელისმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის" რწმუნებულებთან და
საფოსტო განყოფილებებში.

პასუხისმგებელი რედაქტორი შალვა რადიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა № 13 (მწერალთა სასახლე) ტელეფონი 3—47—10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ა—815